პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

# კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-2 სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 მე-2 სართული ტელეფ. 5—43
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 126 სამშაბათი 5 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000 მან. № 126

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ღ ი უ რ ი

პეტროგრადის პროფკავშირთა გაფართოებულმა კრებამ ერთხმად დაადგინა არავითარ დათმობაზე არ წავიდეს რუსეთი ინგლისთან.

ლლოიდ ჯორჯმა გამოაქვეყნა წერილები, რომელშიაც ურჩევს ინგლისის მთავრობას კავშირი არ შესწყვიტოს საბჭოთა რუსეთთან.

იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს საბჭოთა რუსეთთან ოფიციალური მოლაპარაკება კავშირის აღდგენის შესახებ.

მთელ საბჭოთა ფედერაციაში მოსავალი საშუალოზე მეტია.

დღეს, 5 ივნისს, საღამოს 7 საათზე შესდგება

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა**

**წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.**

ცაკის მდივანი: პ. ხაბაშვილი.

# რურში

რურის მუშების აჯანყება თითქმის დასრულდა. მრავალ ადგილებში განახლდა მუშაობა ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ გაფიცვები და აჯანყება რურში აღმოცენდა ეკონომიურ ნიადაგზე. ოკუპაციამ შექმნა ოლქში აუტანელი მდგომარეობა მუშებისათვის. ცხოვრება საარაკოდ გაძვირდა, მარკამ ფასი დაკარგა; მრეწველები, ვაჭრები, სპეკულიანტები, საზოგადოების ყველა პარაზიტები შეეცადნენ ხალხის გაჭირვებაზე ხელის მოთბობას; დამქირავებელთ, შრომის ექსპლოატატორებს გაგონებაც არ სურდათ მუშებისათვის ხელფასის მომატებაზე. რურის მრეწველები და ვაჭრები, რომლებიც შექმნილ კრიზისს იყენებდნენ და მუშების ეკონომიურ მოთხოვნებს ანგარიშში არ უწევდნენ, იმ გარემოებითაც იყვნენ გათამამებულნი, რომ საოკუპაციო ხელისუფლების [illegible] რეჟიმის დროს ისინი ვერ გაბედავდნენ მათ წინააღმდეგ გალაშქრებას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ცხოვრების საერთო მოშლას, წარმოების შეჩერებას, რაც შელახავდა იმპერიალისტური საფრანგეთის ინტერესებს.

მიუხედავად ამისა, აუტანელი მატერიალური მდგომარეობით მოთმინებიდან გამოსული რურის მუშები იძულებულნი გახდნენ აღემართათ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ აჯანყების დროშა.

ბურჟუაზიულ საზოგადოების პირობებში, მუშათა კლასის ცოტად თუ მეტად ფართე ხასიათის ეკონომიური ბრძოლა იღებს პოლიტიკურ ხასიათს. რურის მუშების მძიმე მდგომარეობა შექმნილია კაპიტალიზმის მთელი სისტემით, რომლის ერთ ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა თვით რურის ოკუპაცია, და პროლეტარიატის გამოსვლა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით; მის მიერ ძალა უფლების ჩაგდება ხელში—ეს იყო მრისხანე დემონსტრაცია, როგორც საოკუპაციო რეჟიმის, ისე საერთოდ ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.

ამიტომ იმ თავითვე იყო, თუ რა პოზიციას დაიჭერდნენ რურის აჯანყების მიმართ როგორც გერმანიის მთავრობა და ბურჟუაზია, ისე ფრანგი ოკუპანტები. რურის ოლქში გამოჩენილმა ბოლშევიზმის აჩრდილმა ისინი ფეხზე დააყენა. გერმანიის ზოგიერთი წრეები ფიქრობენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის თავიდან ასაშორებლად ერთად ერთი გამოსავალი,—ეს ფაშისტური გადატრიალების მოხდენაა, ბევრი მონარქიის რესტავრაციაზე ოცნებობს. გერმანიის მემარჯვენე ჯგუფები ასეთ ოცნებას მუდამ ატარებენ გულში. კაპპის აჯანყების შემდეგ მათ იარაღი არ დაუყრიათ, მხოლოდ უცდიან მოხერხებულ შემთხვევას, ამზადებენ ნიადაგს, რათა ისევ სცადონ ბედი თავიანთი სრული ბატონობის აღსადგენად. კუნოს დღევანდელი კაბინეტი მიაჩნიათ გარდამავალ საფეხურად ამ შავი დიქტატურისაკენ.

კუნოს და გერმანიის მთელი ბურჟუაზიული ხელისუფლების ცდა იქითკენაა მიმართული, რათა გატეხოს მუშათა კლასი, სისხლში ჩაახრჩოს ის და მის გვამზე გზა გაიკვლიოს თავისი მიზნის განხორციელებისაკენ.

რურის აჯანყებამ ერთი საბაბი მისცა მათ მებრძოლ პროლეტარიატთან გასასწორებლად. რურის ადმინისტრაციამ სთხოვა საოკუპაციო ხელისუფლებას, რათა ნება დაერთო მისთვის გაეძლიერებინა პოლიცია მუშების ასალაგმავად. რა თქმა უნდა, ოკუპანტებს ამის საწინააღმდეგო რა ექნებოდათ. პირიქით, საოკუპაციო ჯარებმა თვით მიიღეს აქტიური მონაწილეობა აჯანყების ჩახრჩობაში. აქ შეიქმნა ერთიანი ფრონტი გერმანიის და საფრანგეთის ბურჟუაზიისა მუშათა კლასის წინააღმდეგ, და რურის ოლქი მოირწყო რევოლიუციონურ მუშების სისხლით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რურის მუშები განმარტოებულნი დარჩნენ. მათ ბრძოლას აქტიურად არ გამოეხმაურებია საერთაშორისო მუშათა კლასი. ის არ აღმოჩნდა ამისათვის საკმაოდ დარაზმული.

რურის ეხლანდელი ამბები ერთხელ კიდევ იძლევა თვალსაჩინო მაგალითს, თუ როგორ უნდა აწარმოოს ბრძოლა მუშათა კლასმა. რიგების მჭიდროდ შეკავშირება, ერთიანი ფრონტი,—აი ერთად ერთი გზა, რომლითაც მხოლოდ შეუძლია გამარჯვება საერთაშორისო პროლეტარიატს.

# სუსტი საშუალება*)

„ჩვენი ბონების ღირებულება თანდათან ეცემა, რაც მეტად მძიმე პირობებში აყენებს მუშა-მოსამსახურეებს“. ოცში მიღებული ჯამაგირი მუშამ უნდა გამოიზოგოს მთელი თვის განმავლობაში. სიმართლესთან ახლოს იქნება, ვფიქრობთ, თუ მივიღებთ, რომ საშუალოდ მუშის ჯამაგირს თვეში აკლდება 25 პროც. ასე მსჯელობს გაზეთ „ტრიბუნა“-ში ერთი მისი თანამშრომელი და ამ მოვლენის თავიდან ასაშორებელ „ერთ საშუალებათ“ მიაჩნია კოოპერატიული ბონები. კოოპერატივის წევრი ერთდროულად იძენს ბონებს და შემდეგ ამ ბონებით ყიდულობს კოოპერატივიდან საჭირო საქონელს ბონების შეძენის დღის არსებულ ფასებში, და ამგვარ კოოპ. ბონი ინარჩუნებს (სახელმწ. ბონებზე) მეტ სტაბილურ მდგომარეობას.

პირველი შეხედვით შესაძლოა მკითხველმა ეს მართლაც „ერთ საშუალებათ“ ჩათვალოს, მაგრამ მცირეოდენი დაკვირვების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს „საშუალება“ მეტად მარტივად არის წამოყენებული და თანამედროვე ეკონომიურ ვითარებას სრულიად არ ეთანხმება.

დაუშვათ ერთ წუთს, რომ ბონების შეძენით კოოპ. წევრმა მისი ჯამაგირის სტაბილური (ურყეველი, მაგარი, უცვლელი) მდგომარეობა მოიპოვა, მაგრამ კითხვა იმაშია: შეუძლია თუ არა თვით კოოპერატივს, ერთი თვის განმავლობაში ფასების უცვლელად საქონლის გაყიდვა?

რასაკვირველია, არა.

საზოგადოთ ფასების სტაბილური მდგომარეობა (თუ ეს ხელოვნურად შესაძლებელია?) უნდა მოხდეს საყოველთაო გეგმით. კერძო ვაჭრებს, კოოპერატივს და სხვა საზოგადო დაწესებულებებს ფასების სტაბილური მდგომარეობა აუცილებლად ზარალს მიაყენებს და ბოლოს, გაკოტრებამდი მიიყვანს.

საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: გამყიდველმა შეიძინა 1000 მანეთის საქონელი, დაადო მას სავაჭრო მოგება 10 პროც., და ეს საქონელი გაასაღა ერთ თვის განმავლობაში ფასების უცვლელად. თვის ბოლოს მას ექნება 1100 მან.

მაგრამ ამ ერთ თვეში ფასები გაიზარდა, როგორც მოწმობს ავტორი 25 პროცენტით, მაშინ მას შეუძლია იყიდოს გაცილებით ნაკლები საქონელი, ვინემ ერთი თვის წინათ: 1100 მანეთის 25 პროცენტი შეადგენს 275 მანეთს. მაშასადამე მისი მყიდველობითი საშუალება უდრის 1100—275=825 პირველ თვესთან შედარებით.

მყიდველს მეორე თვეშიაც ასე დაემართება, და რამოდენიმე თვის განმავლობაში მისი თანხა „ჩაილურის წყალს“ დალევს *).

ავიღოთ ეხლა მეორე მდგომარეობა, რომელიც წამოყენებული აქვს ავტორს. კოოპერატივი იძენს საქონელს თავის წევრების თანხით. პრაქტიკულად ამ გვარი თანხის გამოყოფა და ვაჭრობა ძლიერ ძნელი იქნება. მაგრამ დაუშვათ ეს. რასაკვირველია აქ კოოპერატივი ფასების სტაბილურ მდგომარეობით არაფერს იზარალებს, და მყიდველს დახმარებას გაუწევს. მაგრამ აქ საჭიროა განვიხილოთ კოოპ. წევრის ბიუჯეტის ვითარება.

როდესაც მუშა-მოხელე აიღებს ჯამაგირს, ის არ დაიწყებს საქონლის ფასების ზრდის ცდას და დაუყონებლივ შეიძენს საჭირო საგნებს,—მანუფაქტური იქნება თუ ჩაი—შაქარი, ხორბალი და სხვა ამგვარი, რაც თვის განმავლობაში არ წახდება. მაგრამ მუშას ჯამაგირის დიდი ნაწილი ესაჭიროება ყოველდღიური სარჩო—სანოვაგის შესაძენათ და სწორედ ამისათვის მან უნდა გამოიზოგოს ფული ისე, რომ სწორამდის ეყოს.

ძლიერ ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შესძლებს კოოპერატივი ერთი თვის განმავლობაში ფასების ერთ სიმაღლეზე შეჩერებას იმისთანა საქონელზე, როგორც პური, ხორცი, ნედლი თევზი, რძე და მისი პროდუქტები და განსაკუთრებით ბოსტნეულობა. ეს უკანასკნელი ჩვენში წარმოადგენს მასის უმთავრესს საკვებ მასალას. არავითარი მებოსტნე არ დაეთანხმება, რომ მან თავისი მოსავალი ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილ ფასებში იძლიოს. აღდგომის წინა დღეს თბილისის ბაზარზე კონა მწვანილი 20—30 ათ. მანეთიდან 100—150 ათ. მანეთამდე ახტა.

ამ გვარად მის შესაძენათ ესაჭიროება მუშას ფულების ერთ თვის განმავლობაში გამოზოგვა, სწორედ ამ გვარ საქონლის ფასების სტაბილურ მდგომარეობის შერჩენა შეუძლებელი ხდება.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ კოოპ. ბონებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს თვით კოოპერატივის თანხის გაძლიერებით და შემდეგ მის წევრებისათვის ბაზართან შედარებით საქონლის გაიაფებით.

მაგრამ ეს არ არის „საშუალება“, რომელიც ფასებს ერთ დონეზე შეაჩერებს და მით მუშა-მოსამსახურეს ცხოვრების პირობებს გაუადვილებს.

დაბადებაში სწერია, რომ იესო ნავინელმა მზე და მთვარე შეაჩერაო. ჩვენ ვიცით, რომ ეს ზღაპრული თქმულებაა და ბუნებრივი კანონების შეჩერება ადამიანს არ შეუძლია; ამგვარივე ბუნებრივია ეკონომიური კანონები. თუმცა ადამიანის ნებას შეუძლია საზოგადოებრივ მოვლენაზე თავისი რაოდენობითი ზედგავლენა მოახდინოს, მაგრამ ეს შესაძლოა მაშინ, როდესაც ეს ხდება უდიდეს მაშტაბში.

ფასების ზრდა მსოფლიო მოვლენაა და მისი პალიატივებით შეჩერება შეუძლებელია.

ჩვენ აქამდი ვხმარობდით ტერმინს „ფასების ზრდა“, რომელიც სწორედ ვერ ასურათებს მდგომარეობას. უფრო სამართლიანი და ცხადად დამახასიათებელი იქნება, რომ ვსთქვათ „ფასების რყევა“. არიან სახელმწიფოები, სადაც საქონლის ფასები ეცემა, ე. ი. ადგილობრივი ფულების ღირებულება მაღლა იწევს. მაგალ. ჩრ. ამერ. შეერთებული შტატები, შვეიცარია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქონლის ფასების ზრდა არ ხდება ერთი ტემპით. ხანდისხან ზოგიერთი საქონლის ჯგუფის ფასი ეცემა, ზოგიერთი დიდხანს ერთ სიმაღლეზე სდგას, ზოგიერთი კი არა ჩვეულებრივად, სხვა ჯგუფ საქონელთან შედარებით, ზევით ხტება. მაგალ. ამ ხანებში ძლიერ ძვირდება მსოფლიო ბაზარზე თამბაქო. შარშან გაზაფხულს თბილისში თეთრი პური და ფხვნილი შაქარი ერთი და იმავე ფასებში იყიდებოდა—23 ათ. მან. გირვანქა. წელს, იმავე დროს, შაქრის ფასი 8-ჯერ, თითქმის ათჯერ აღემატება პურის ფასს.

თვით ცხოვრების დაკვირვება და სპეციალი ეკონომიური ჟურნალ-გაზეთები გვიჩვენებენ მრავალ ამგვარ მაგალითებს.

თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა მეტად რთულია და თხოულობს დიდ მეცადინეობას, კვლევას და გაშუქებას, ამიტომ რაც უფრო მეტი სჯა-ბაასი იქნება ამ საკითხის გარშემო—მით უკეთესი.

ცნობილია, თუ საიდან იბადება ჭეშმარიტება.

**ხონელი.**

---

*) სადისკუსიო.

*) ამ მიზეზის გამო გაკოტრდა ბევრი გულუბრყვილო ვაჭარი ომის დაწყების შემდეგ. გაზეთის წერილის ფარგალი ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას მოვიყვანოთ უფრო რთული მაგალითები, მაგრამ მკითხველი თვით მიხვდება რაშია საქმე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ძირითადი თანხა და ალებ-მიცემითი დამოკიდებულობა უფრო რთულია.

---

# სოციალისტური ახალგაზრდობის ყრილობა ჰამბურგში

2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალების შეერთების შემდეგ, ამ დღეებში გაიხსნა ჰამბურგში მემარჯვენე სოციალისტური და ცენტრისტულ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის გამაერთიანებელი ყრილობა.

ამ ორი ინტერნაციონალის შეერთება სინამდვილეში ნიშნავს მემარჯვენე სოციალისტების მიერ ცენტრისტების შთანთქვას. მართალია მონელების პროცესი მეორე ინტერნაციონალში დარღვეული იქნება ცენტრის მუშაკთა იმ ნაწილის მიერ, რომელიც მიუხედავათ გაერთიანებისა მაინც შეეცდება თავის ძველ პრინციპების გატარებას გაერთიანებულ ინტერნაციონალში, მაგრამ თავიანთი ბუნებით ცენტრისტული ლიდერები უკვე ისე დაუახლოვდენ რეფორმიზმს, რომ, „ახალი“ ინტერნაციონალი იქნება ნამდვილათ იგივე მეორე ინტერნაციონალი მთელი თავისი ნაციონალისტური და რეფორმისტული იდეოლოგიით

და ამ „ახალ“ ინტერნაციონალს შეუძლია გაამართლოს ყველა ის წინასწარმეტყველებანი მისი სრული უილაჯობისა და აუცილებელი ბოლოსასრულის შესახებ, რომელიც გამოთქმული იყო რადიკალურ ცენტრისტების მიერ მეორე ინტერნაციონალის შესახებ.

ყველა ზემოთ თქმული ეხება სავსებით ახალგაზრდობის სოციალისტურ ინტერნაციონალს. ახალგაზრდობის 2 ნახ. ინტერნაციონალი წარმოიშვა 1921 წელს თებერვალში. როგორც უფროსების ისე ახალგაზრდობის ინტერნაციონალმა განაცხადა, რომ მის მთავარ ამოცანას შეადგენს ახალგაზრდობის ერთიანი ინტერნაციონალის შექმნა, რომელშიც შევლენ როგორც რეფორმისტები, ისე კომუნისტები.

ეხლა კი უეცრად ხდება გაერთიანება „მშრომელ ახალგაზრდობის ინტერნაციონალთან“, რომელიც, ისევე როგორც მე-2-ე ინტერნაციონალი, უარყოფს ყოველგვარ მოლაპარაკებას კომუნისტებთან. და თუ საერთოდ ლაპარაკიც არ შეიძლება მუშათა კლასის გაერთიანებაზე, კომუნისტური ინტერნაციონალის გარეშე, ეს მით უფრო შეეხება მშრომელ ახალგაზრდობას, იმიტომ, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი აერთიანებს ამჟამად, ისევე როგორც წინად, საერთაშორისო მასშტაბით ყველა შეკავშირებულ ახალგაზრდა პროლეტარებს და მიტომაც მემარჯვენეთა მთელი ხმაურობა, არაფერს არ წარმოადგენს, გარდა სიყალბისა. ყალბი ლოზუნგის ქვეშ ცენტრისტები გადაიბარგებიან ბურჟუაზიული კოალიციის მხარეზე, რომელიც მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ და ცხადია, რომ ეს არ სპობს გათიშვას მუშათა კლასის და მშრომელი ახალგაზრდობის რიგებს შორის. ამავე დროს ეს არის ღალატი 1921 წლის ცენტრის პოლიტიკურ პრინციპების და აგრეთვე ახალგაზრდობის მოძრაობის იმ პრინციპებისაც, რომელიც, სიტყვით მაინც, ანსხვავებდა მათ რეფორმისტებისაგან. ახალგაზრდობის სრული დამოუკიდებლობა პარტიისაგან და ახალგაზრდობის პოლიტიკური მუშაობა, რომელთაც სავსებით უარყოფს ახალგაზრდობის ყვითელი ინტერნაციონალი.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი ფარდას ხდის ახალგაზრდათა ჰამბურგის ყრილობას და ითვალისწინებს გაერთიანების დამღუპველ შედეგებს. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი მაინც მიმართავს კონგრესს წინადადებით ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ,

მშრომელი ახალგაზრდობის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. განსაკუთრებით მშრომელ ახალგაზრდობას გაცილებით უფრო მეტი საფრთხე მოელის, ვინემ უფროს მუშებს, ომის საფრთხის, ფაშიზმის გაძლიერების და კაპიტალის თავდასხმის შემთხვევაში მილიტარიზმი სულიერად და პსიქოლოგიურად ანადგურებს უმთავრესად ახალგაზრდობას.

ფაშისტები მთელ თავის ტერორს და პროპაგანდას მიმართავენ პირველ ყოვლისა პროლეტარული ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

მისგან იწყებენ ისინი გაგრძელებული სამუშაო დღის შემოღებას, სამუშაო ხელფასის და უმუშევართა დახმარების შემცირებას.

ყველა იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც დასმულია ჰამბურგის ყრილობის დღის წესრიგში, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი მოითხოვს, ერთიანი ფრონტის გატარებას ცხოვრებაში.

სოციალისტური ინტერნაციონალები უკვე მეორეჯერ უარყოფენ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის წინადადებებს ერთიანი ფრონტის საკითხში;

პირველად—1922 წ. შემოდგომაზე მშრომელი ახალგაზრდობის მსოფლიო ყრილობის მოწვევის დროს და მეორედ 1923 წელს ომის საფრთხის და რეაქციის საწინააღმდეგოდ მიმართულ კვირეულის დროს.

მოსალოდნელია, რომ სოციალისტური ახალგაზრდობის ლიდერებმა ეხლაც უარყონ ჩვენი წინადადება, მაგრამ ჩვენ ამ წინადადებას მაინც ვიძლევით.

პირველ ყოვლისა მიტომ, რომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია ყველა ახალგაზრდა პროლეტარების ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, ხოლო მეორედ მიტომ, რომ ვაიძულოთ მისი ბელადები გამოამჟღავნონ მათი ჭეშმარიტი დამოკიდებულება ერთიანი ფრონტის საკითხისადმი. და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თუ ამ შემთხვევაში სოციალისტური ლიდერები ამჯობინებენ კოალიციას ბურჟუაზიასთან, ვინემ მუშებთან—კომუნისტებთან,—მათ ორგანიზაციებში კიდევ დარჩა მრავალი ახალგაზრდა პროლეტარები, რომლებიც აიძულებენ თავიანთ ბელადებს მიიღონ ჩვენი წინადადება; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბელადების დაუკითხავად გამოვლენ ბურჟუაზიის საწინააღმდეგოთ მიმართულ ბრძოლაში კომუნისტებთან ერთად.

**გ. შ.**

# რადიო-ტელეგრამები

## რუსეთი და ინგლისი

**ლლოიდ-ჯორჯმა შეიცვალა პოზიცია.**

**ლლოიდ ჯორჯი მშვიდობიანობისა და რუსეთთან ვაჭრობის მომხრეა.**

ლონდონი. 2 ივნისი. დიდ წერილში, რომელიც „დეილი ტელეგრაფში“ და „დეილი ქრონიკლში“ იყო მოთავსებული, ლლოიდ ჯორჯი აღნიშნავს მეფის მთავრობის რეჟიმის [illegible], რომელმაც მტკიცეთ გამაგრებულ ბოლშევიკურ წესწყობილებამდე მიგვიყვანა. ლლოიდ-ჯორჯი თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ათავებს: „მთელ ქვეყანას მშვიდობიანობა უნდა. ინგლისს, კერძოდ, ვაჭრობა სჭირია“. ლლოიდ-ჯორჯის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის წრეებზე.

**უკან იხევენ.**

ლონდონი. 2 ივნისი. „დეილი ჰერალდი“ და „მანჩესტერ გარდიენი“ ბეჭდავენ სრულებით რუსეთის პრესის გამოძახილს კერზონის მემორანდუმის შესახებ. უკეთებს რა კომენტარიებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც კერზონის ნოტამ მოახდინა მოსკოვში „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შორსაა იმ აზრისაგან, რომ პროვოკაცია გასწიოს რუსეთის მიმართ და ხელი შეუშალოს საბჭოთა მთავრობას დანიშნოს თავისი წარმომადგენლები, თუმცა კერზონმა გვერდი აუარა დიპლომატიის ჩვეულებრივ წესებს და ეს საკითხი კატეგორიულ მოთხოვნილების ფორმებში გამოხატა. რუსებმა, როგორც ჩანს, ცუდად გაიგეს ეს მუხლი. ყველა ამ გაუგებრობის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ კონფერენციას, რომელსაც რუსეთი თხოულობს“.

**„ვაჭრობა რუსეთთან უნდა გაგრძელდეს“.**

ლონდონი. 1 ივნისი. „დეილი ექსპრესი“ სწერს: „უთანხმოებანი რუსეთსა და ინგლისს შორის ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, მიუხედავად რუსეთის გულწრფელი წინადადებისა გაიგზავნოს ჩიჩერინი ლოზანაში შედარებით მეორე ხარისხოვან საკითხების გადასაჭრელად. ინგლისის უმთავრესი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია. ვაჭრობა რუსეთთან უნდა გაგრძელდეს“.

**„დეილი ტელეგრაფი“ ხარობს.**

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „საბჭოთა მთავრობა, როგორც ჩანს, თანახმაა ყოველგვარ მსხვერპლზე, რომ დაიცვას ინგლისთან დამოკიდებულება“. გაზეთი მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან სპარსეთში და ავღანისტანში დიპლომატიურ ელჩების გამოწვევას, რომელნიც, გაზეთის აზრით, დიპლომატიური ელჩები კი არა, ინგლისის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის ცენტრი არიან.

**რა უნდათ.**

რომი. 1 ივნისი. გაზეთი „იუსტიცია“ სწერს: „რა უფლება აქვს კერზონს პროტესტი განაცხადოს ბოლშევიკური პროპაგანდის გამო იმ დროს, როცა მოკავშირეები აწარმოებენ ინტრიგებს, რომელთაც მიზნათ აქვს რუსეთში სამოქალაქო ომის გამოწვევა“.

**ინგლისის „მეგობრული“ ნოტა.**

ბერლინი. 1 ივნისი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ თეთრი ზღვის ნაპირებისკენ გაიგზავნა 2 კრეისერი. კრეისერები ერთი მილის მანძილზე მოუახლოვდენ მურმანსკის ნაპირებს.

**ამერიკა საგარეო დამოკიდებულებების დამყარებას ფიქრობს რუსეთთან.**

ბერლინი. 1 ივნისი. ნიუ-იორკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ბუში, ბერლინში ცნობილ ეკონომიურ მოღვაწეებთან მოლაპარაკების შემდეგ რუსეთში გაემგზავრა.

**იაპონიის კომერსანტების ყრილობა.**

ტოკიო. 31 ივნისი. ოსაკის სავაჭრო პალატა 4 ივნისისათვის იწვევს რუსეთთან დამოკიდებულებაში დაინტერესებულ კომერსანტების ყრილობას.

**რუსეთ-დანიის ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება.**

კოპენჰაგენი. 1 ივნისი. რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიამ დაამთავრა რუსეთ-დანიის ხელშეკრულებაზე მსჯელობა. ცნობილ ლიბერალების მთელი რიგი მოითხოვს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ რატიფიკაციას.

**რუსეთ შვეციის მოლაპარაკება მოგვარების პროცესშია.**

სტოკჰოლმი. 1 ივნისი. შვეციის მთავრობა იტყობინება ოსინსკის მოსალოდნელ ჩამოსვლის შესახებ სტოკჰოლმში მოლაპარაკების საწარმოებლად. გაზეთები ათავსებენ ოსინსკის ბიოგრაფიას. „პოლიტიკენი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა გზავნის შვეციაში ერთ-ერთ გამოჩენილ ეკონომისტს.

## ბრიტანელ მევალეების კრება

**ურკარტის სიტყვა.**

ლონდონი. 1 ივნისი. ინგლისელ მევალეების კრებაზე ურკარტმა განაცხადა, რომ ის მიესალმებოდა ბრიტანეთის შეთანხმებას რუსეთთან იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა მთავრობა იცნობს რუსეთის ვალებს და დასთანხმდება აუნაზღაუროს ზარალი ყოფ. პატრონებს. ურკარტი ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობა ადვილად შესძლებს ამ საკითხის მოგვარებას, რადგან მანეთის კურსის დაცემამ ფაქტიურად გააუქმა შინაური ვალები და ყოფილი მოკავშირეები დასთანხმდებიან ძველი მთავრობის მიერ ომის დროს აღებული სესხების გაუქმებაზე. მისი აზრით უცხოეთის სახელმწიფოების და კერძო პირებისადმი ვალების რაოდენობა არ აღემატება 800 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ამათგან კერძო პირებს ეკუთვნის 250 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

**ინგლისის მთავრობა თვით აბრკოლებდა ვაჭრობის საქმეს.**

ურკარტის წინააღმდეგ გაილაშქრა მანქანების დამამზადებელი კომპანიის დირექტორმა მარშალმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა კრასინი ხელს უწყობს რუსეთსა და ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას, ბრიტანეთის სავაჭრო წარმომადგენლობა მოსკოვში თავისი მოქმედებით სულ წინააღმდეგ შედეგებს აღწევს. ინგლისის მთავრობა არ ეხმარებოდა თავის მოქალაქეებს სავაჭრო ხელშეკრულებით სარგებლობის საქმეებში.

## ინგლისის თემთა პალატაში

**ნიუბოლდი პალატას დაუბრუნდა.**

ლონდონი. 31 მაისი. თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე ბალდვინი გამოვიდა არა როგორც პრემიერი, არამედ როგორც კონსერვატორთა პარტიის ბელადი და წინადადება შეიტანა, ნება მიეცათ ნიუბოლდისათვის პალატაში დაბრუნებისა, რადგანაც მან ბოდიში მოიხადა. თუმცა ყველანი მოელოდნენ, რომ პალატის წინაშე წაკითხული იქნებოდა პალატის სახელობაზე გამოგზავნილი ნიუბოლდის წერილი, მაგრამ ის წაკითხული არ იქნება.

ამ წერილში ნიუბოლდი ბოდიშს კი არ იხდიდა, არამედ უკან იბრუნებდა თავის ნათქვამ სიტყვებს.

**აქაც ბოდიშს მოითხოვდენ.**

იმავე სხდომაზე აღიძრა საკითხი ერთი ჯარისკაცის მიერ შოტლანდიის ერთ-ერთ ჩრდილო კუნძულზე მიწის მითვისების შესახებ, რომელიც არ გამოუყენებია მიწათმოქმედებისათვის. ამ საქმის გამო 180 კაცი ჩასვეს ციხეში. პალატის ბევრი წევრი მოითხოვდა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. მთავრობამ აღუთქვა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუ დაპატიმრებულნი ბოდიშს მოიხდიან.

## რურის ოლქის ოკუპაცია

**გერმანია ეძებს ინგლისის დახმარებას.**

ბერლინი. 1 ივნისი. გერმანიის პრესის ინგლოფილურად განწყობილი ნაწილი დიდ მნიშვნელობას აძლევს ერთ და იმავე დროს ბერლინში ინგლისის ელჩის დებერსონის ჩამოსვლას, ლონდონში კი გერმანელ ფინანსისტების ჩასვლას. ფიქრობენ, რომ გერმანია ახალი სარეპარაციო წინადადების გაგზავნამდი შეეცდება უზრუნველყოს თავისათვის ინგლისის დახმარება. ამის გამო გერმანიის ახალი წინადადებების ტექსტი მზად იქნება არა უადრეს მომავალი კვირისა.

**უმუშევართა დემონსტრაცია.**

ბერლინი. 1 ივნისი. დარმშტადში მოხდა უმუშევართა დემონსტრაცია. ბუცენში პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლეს 2 უმუშევარი, დაიჭრა 6.

**რეიმშტადის რაიონში გრძელდება ლითონზე მომუშავეთა გაფიცვა.** კელნში, მიუხედავათ პროფკავშირების ლიდერების წინააღმდეგობისა, გაიფიცენ ქალაქის საწარმოთ დარგების მუშები.

**კომუნისტების დევნა გრძელდება.**

ბერლინი. 1 ივნისი. რურის ადმინისტრაცია განაგრძობს კომუნისტების დევნას. დღემდი დატუსაღებულია რამდენიმე ასი კომუნისტი.

**ქარხნების დელეგატების კონფერენცია.**

ბერლინი. 1 ივნისი. გუშინ რეიხსტაგის შენობაში გაიხსნა რურის, შუა გერმანიის და ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების დელეგატების კრება. დელეგატებიდან 15 არის სოციალ-დემოკრატი, 10 დამოუკიდებელი სოციალისტი და 71 კომუნისტი. კონფერენციამ მოითხოვა კომუნისტური პარტიის დევნის შეწყვეტა, შრომის ხელფასის საკითხის მოგვარება. პროლეტარული თავდაცვის რაზმების და საკონტროლო კომისიების ცნობა.

უკანასკნელი ორი მუხლის მიღებაზე ზევერინგმა უარი სთქვა.

„როტე-ფანე“ ამის შესახებ სწერს: „კაპპის ტერორის შემდეგ მუშები ნება დაურთველად ილაშქრებდენ თეთრი ტერორის წინააღმდეგო“.

**განაგრძობენ ძალადობის პოლიტიკას.**

ბერლინი. 1 ივნისი. რურის ოლქში ფრანგები განაგრძობენ გერმანელ რკინის-გზელების გადასახლებას.

**კომპარტია ფხიზლად არის.**

ბერლინი. 1 ივნისი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომი მოუწოდებს ფრანგ ჯარის-კაცებს რურში შეასრულონ თავისი პროლეტარული მოვალეობა გერმანელ მუშების წინაშე.

**მოსმენაც არ სურთ.**

პარიზი. 1 ივნისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ უარი სთქვა კაშენის ინტერპელიაციის განხილვაზე მარტის ამნისტიის შესახებ. პალატამ უარი სთქვა აგრეთვე ბერტონის ინტერპელიაციის განხილვაზე გელიეინის განთავისუფლების შესახებ. გელიეინი ციხეში დარჩება სანამ არ გაანთავისუფლებენ ფრანგ დატუსაღებულებს გერმანიაში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად ქვემო სენის დეპარტამენტის პრეფექტმა უარი განაცხადა მარტის კანდიდატთა სიაში შეტანაზე საკანონმდებლო დაწესებულებებში არჩევნების დროს.

**რურის სამთო-მადნო წარმოების მუშების პროტესტი.**

ბერლინი. 1 ივნისი. რურის სამთო—მადნო წარმოების მუშები პროტესტს აცხადებს მრეწველების მემორანდუმში წამოყენებულ მოთხოვნილებების გამო. მუშები ფიცს დებენ, რომ ყოველგვარი ზომებით შეუშლიან ხელს მრეწველების ზრახვების განხორციელებას.

**რკინის გზელთა გაძევება გრძელდება.**

ბერლინი. 4 ივნისი. რურის ოლქიდან რკინისგზელთა გაძევება გრძელდება. დუისბურგიდან გაძევებულია 82 რკინისგზელი. კიდევ აპირებენ 270 რკინისგზელის გაძევებას. რურიდან განზრახულია 400 რკინისგზელთა ოჯახობის გაძევება. ტირში დაატუსაღეს 12 რკინისგზელი.

## კერზონის უტიფარი მოთხოვნილება

## მთელი საბჭოთა ფედერაცია პროტესტს აცხადებს

**არავითარი დათმობა მეტი!**

პერმი. 2 ივნისი. ინგლისის მემორანდუმის გამო შესდგა საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა საქარხნო საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტები, წითელი არმიის და წყლის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის საოლქო ყრილობის წარმომადგენელთა თანდასწრებით დაესწრო 5000 მეტი კაცი. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს: „არავითარი დათმობა ინგლისს“.

სმოლენსკი. 2 ივნისი. გაიმართა გრანდიოზული მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუშებმა და წითელ-არმიელებმა, მანიფესტაციის ლოზუნგი იყო „არავითარი დათმობა ინგლისის იმპერიალიზმს“. მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 10,000 მეტმა კაცმა.

**„ისინი [illegible] ახალ ავანტიურას“.**

სმოლენსკი. 2 ივნისი. საფაბრიკო ქალაქის იარცევის უპარტიო მუშების კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „ჩვენ უცხადებთ ყველა იმპერიალისტებს, რომ მათი ახალი ავანტიურა, რომელსაც მიზნათ აქვს რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის დამხობა არ განხორციელდება“.

**„ბოლო უნდა მოეღოს ინგლისის ბურჟუაზიის თავხედობას“**

როსტოვი დონზე. 2 ივნისი. გაიმართა მუშების, მასწავლებლების და მოწაფეების მრავალ რიცხოვანი კრებები, ყველგან გამოტანილი იქნა რეზოლიუციები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის ბურჟუაზიის თავხედობას ბოლო უნდა მოეღოს“-ო.

**კერზონის თავხედური მოთხოვნილების წინააღმდეგ.**

ვიატკა. 2 ივნისი. ვიატკის მშრომელი მასების კრებებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიც პროტესტს აცხადებენ კერზონის თავხედური მოთხოვნილების გამო.

**„გახსოვდეთ, რომ რუსეთი თქვენი კოლონია არ არის“.**

ოდესა. 2 ივნისი. შესდგა საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს სასწრაფო პლენუმი, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ინგლისის ახალი მემორანდუმის შესახებ. პლენუმმა დაადგინა აცნობოს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს, რომ თუმცა რუსეთის მუშების მშვიდობიანობის მოყვარეობა დიდია, მაგრამ ისინი მოითხოვენ, რომ რუსეთს არ ელაპარაკებოდენ ისე, როგორც კოლონიას. პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „რუსეთის მუშები დგანან ფაქტის წინაშე—ბრიტანეთის ბანდიტები გადმოდიან შეტევაზე, რომ ასწრაფ აინაზღაურონ მეფის მთავრობის მიერ აღებული ვალები, მტრების ცდა ძალით გვაიძულონ ჩვენ შევასრულოთ მათი მოთხოვნილებები, უშედეგოთ დამთავრდება“.

**„არავითარი დათმობა“**

პეტროგრადი. 2 ივნისი. ინგლისის განმეორებითი ნოტის გამო შესდგა საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც დაესწრნენ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები. ზედიზედ გამოდიოდენ კავშირების და ცალკე ფაბრიკების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდენ, რომ ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა და წავიდით შეძლებისდაგვარად ყოველგვარ დათმობაზე მაგრამ შემდეგში ამაზე მეტ დათმობაზე წასვლა იმის გარეშე, რომ არ შეილახოს რევოლიუციის, თავისუფლების და მუშათა კულტურის ინტერესები, შეუძლებელია.

მიღებულია ერთსულოვანი მიმართვა ინგლისის მუშათა პარტიისადმი და აგრეთვე ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოსადმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მუშებს და გლეხებს უყვართ თავისი მშრომელთა რესპუბლიკა, მათ არ სურთ ჩხუბი და დავა, მაგრამ ისინი ნებას არ მისცემენ ინგლისის ბურჟუაზიას აბუჩად აიგდოს ისინი. მშვიდობიანობა საფრთხეშია! ინგლისის მთავრობას სურს ჩაახშოს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა და ცდილობს სისხლის ღვრით იძიოს შური მუშებზე და გლეხებზე იმ გამოწვევისათვის, რომელიც მოხდა 1917 წელს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის ციტადელის სახელით პეტროგრადის მუშები მიმართავენ ინგლისის მუშებს თხოვნით გაათკეცონ თავიანთი ღონისძიებანი ინგლისის იმპერიალისტების ზრახვების თავიდან ასაცდენად და დახმარება გაგვიწიონ ბლოკადის, ინტერვენციის და ახალი ომის თავიდან აშორების საქმეში.

## რუსეთის ცნობის გარშემო

**ჩინეთი მიილტვის ნიჟეგოროდის ბაზრობაზე.**

მოსკოვი. 2 ივნისი. ჩინეთის ვაჭრებისაგან მიღებულია შეკითხვა ნიჟეგოროდის ბაზრობის პირობების შესახებ. ჩინეთის ვაჭრები აქტიური მონაწილეობის მიღებას ფიქრობენ ბაზრობაზე

**იტალიის სავაჭრო წარმომადგენლის გამოცვლა მოსკოვში.**

მოსკოვი. 2 ივნისი. იტალიის სავაჭრო წარმომადგენელი მოსკოვში ამადორი იტალიის მთავრობის მიერ გაწვეულია თანამდებობიდან. ახალი სავაჭრო წარმომადგენლის ჩამოსვლას მოელიან ამ დღეებში.

**საფრანგეთ-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებისათვის.**

მოსკოვი. 2 ივნისი. ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება და მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის სავაჭრო დელეგაცია ფულ გედის შვილის მეთაურობით.

## გერმანია და ანტანტა

**ინგლისი და საკონტრიბუციო საკითხი.**

ლონდონი. 2 ივნისი. ინგლისის პრესა მეტად დიდ ინტერესს იჩენს საკონტრიბუციო საკითხისადმი. „ობსერვერი“ მოითხოვს, რომ მოკავშირეები დაეთანხმონ ინგლისის თვალსაზრისს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისმა დიდი მსხვერპლი გაიღო მოკავშირეების საერთო საქმისათვის, ამიტომ ომის შედეგებით მეტად დაინტერესებულია ინგლისის მრეწველები, გაზეთის აზრით ინგლისის მოთხოვნილებები იმდენათ კანონიერია, რამდენათაც კანონიერი სხვა მოკავშირეების მოთხოვნილებები, ინგლისის მთავრობისათვის ისევე ძვირფასია ინგლისის ინტერესები, როგორც საფრანგეთისათვის თავისი, თუმცა ინგლისი ყოველთვის მზად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შეუთანხმოს თავისი ინტერესები სხვა მოკავშირეების ინტერესებს, მაგრამ ის სავსებით უწევს ანგარიშს ამ მდგომარეობას, რომ დადგა დრო მისთვის აწარმოოს უფრო „საკუთარი“ პოლიტიკა. შემდეგ გაზეთი, ეხება რა რურის კონფლიქტს, აღნიშნავს, რომ გერმანიას ტყუილი იმედი აქვს საფრანგეთსა და ბელგიას შორის უთანხმოების გაღრმავების. გერმანია დაისაჯა შეცდომებისათვის ომის დროს, ის ამ შეცდომებისათვის დაისჯება ომის შემდეგაც“.

**ბონარ-ლოუს პროექტის გადასინჯვა.**

**ბერლინი.** 2 ივნისი. „მანჩესტერ გარდიენის“ ცნობით ინგლისის კაბინეტმა ბალდვინის მეთაურობით გადასწყვიტა დაიცვას ბონარ-ლოუს მიერ იანვარში გამომუშავებული საკონტრიბუციო გეგმა. გადასინჯული იქნება მხოლოდ კონტრიბუციის საერთო ჯამი.

**ნაადრევია.**

**ბერლინი.** 4 ივნისი. ინგლისის სავაჭრო პალატებმა საფრანგეთის სავაჭრო პალატებს წინადადება მისცეს საკონტრიბუციო და მოკავშირეთა ვალების საკითხის შესასწავლად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. საფრანგეთის სავაჭრო პალატებმა განაცხადეს, რომ ასეთი კონფერენციის მოწვევა ჯერ-ჯერობით ნაადრევი არისო.

**რისი იმედი უნდა ქონდეს საფრანგეთს.**

**ბერლინი.** 4 ივნისი. ეხება რა ახალი კაბინეტის დამოკიდებულებას საკონტრიბუციო საკითხისადმი, გაზეთი „პელ მელ-გაზეტე“ სწერს: „საფრანგეთს არ უნდა ქონდეს იმის იმედი, რომ ბალდვინი დასთანხმდება საფრანგეთის ყველა წინადადებებზე. მას მხოლოდ იმის იმედი უნდა ქონდეს, რომ ინგლისი დაუჭერს მხარს მოკავშირეების საერთო ინტერესებს.

## საფრანგეთი და ბელგია

**ბრიუსელის კონფერენციის გახსნა.**

**პარიზი.** 4 ივნისი. ოთხშაბათს ბრიუსელში გაიხსნება მოკავშირეთა მინისტრების კონფერენცია, რომელზედაც დაესწრებიან: პუანკარე, ლაისტერი და ლეტროკე.

**საფრანგეთი და ბელგია შეთანხმდებიან.**

**პარიზი.** 4 ივნისი. გერმანიის პრესის აზრით, საფრანგეთს და ბელგიას შორის შესაძლებელი იქნება შეთანხმების მიღწევა ბრიუსელის კონფერენციაზე რურის ოპერაციის გაგრძელების საკითხში

**ბალდვინი გაემგზავრება პარიზში.**

**პარიზი.** 4 ივნისი. ბრიუსელის კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ბალდვინს მოელიან პარიზში.

**ბალდვინის განცხადება.**

**პარიზი** 4 ივნისი. ბალდვინმა „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტთან საუბარის დროს განაცხადა, რომ ის იმედს ამყარებს მის ფრანგ კოლეგებთან შეხვედრაზე. ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ ინგლისი და საფრანგეთი შესძლებენ რურის ოკუპაციის საკითხში საერთო ხაზის გამონახვას. ის ცდილობს საფრანგეთის და ბელგიის მშვიდობიანობის გარანტიების საკითხის მოგვარებას, მაგრამ იმასაც ანგარიშს უწევს, რომ ეს გარანტიები აუტანელ ტვირთად არ დააწვეს გერმანიას.

**რას გააკეთებს კონფერენცია.**

**პარიზი.** 4 ივნისი. საფრანგეთის პრესის აზრით, საფრანგეთ-ბელგიის კონფერენცია, რომელიც გაიმართება ბრიუსელში, უეჭველად განიხილავს ბელგიის სურვილს, რათა შემცირებული იქნეს მოკავშირეების მოთხოვნილებანი, რომლებიც უნდა წარედგინოს გერმანიას.

## ლოზანის კონფერენცია

**„მოკავშირეების კაპიტულიაცია იხმეტ ფაშის წინაშე“.**

**ლონდონი.** 31 მაისი. კანადის გაზეთ „გლობ ტორონტოს“ ლოზანელი კორესპონდენტი სწერს: „მოკავშირეები სრულ კაპიტულიაციაზე წავიდნენ იხმეტ-ფაშის წინაშე. საზღვარგარეთელ მოქალაქეების იურიდიულ უფლებების შესახებ ოსმალეთში ორივე მხარე შეთანხმდნენ, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის პოლიციას უფლება ეძლევა დააპატიმროს უცხო სახელმწიფოთა ის მოქალაქენი და გაჩხრიკოს მათი ბინები, ვინც შემჩნეულია ოსმალეთის კანონების დარღვევაში; დატუსაღება და გაჩხრეკა უნდა მოხდეს საზღვარგარეთელ იურიდიულ მრჩევლისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ. აშკარაა, სწერს კორესპონდენტი, ეს წინასწარი შეტყობინება აჩრდილია იმ პრივილეგიების, რომლითაც სარგებლობდენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები კაპიტულიაციის რეჟიმის დროს. ამას გარდა ასეთი წესები განზრახულია ხუთი წლის ვადით, რომლის შემდეგაც საზღვარგარეთელ მოქალაქეებს არავითარი პრივილეგიები აღარ ექნებათ.

**ცა ისევ იღრუბლება.**

**ლოზანა.** 31 მაისი. ლოზანის კონფერენციის საფინანსო კომისიის სხდომაზე ოსმალებმა შეურიგებელი პოზიცია დაიჭირეს საზღვარგარეთელ სააქციო საზოგადოებების პრივილეგიების დაკმაყოფილების საკითხში. მოკავშირეთა პრესის კომენტარიები კონფერენციის საქმეთა საერთო მდგომარეობის შესახებ ამ ჟამად, მეტად პესიმისტურია.

**ინგლისელები წავლენ სტამბოლიდან.**

**ლოზანა.** 1 ივნისი. პრესის ცნობებით საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და საბერძნეთ შორის ხელმოწერილი იქნება არა უგვიანეს ორი კვირისა. ფიქრობენ, რომ ინგლისელები ევაკუაციას უზამენ სტამბოლსა და სრუტეებს მის შემდეგ, როცა საზავო ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება ოსმალეთისა და ერთ მოკავშირე სახელმწიფოს მიერ. რამოდენიმე დღის წინად დაწყებული ოსმალეთ-ამერიკის მოლაპარაკება ოფიციალურ ხასიათს ღებულობს.

## ახლო აღმოსავლეთში

**ამერიკა და ოსმალეთი.**

**პარიზი.** 4 ივნისი. „ეკსჩენჯი ტელეგრაფ“-ის ცნობით, ამერიკის პრეზიდენტმა გარდინგმა უფლება მისცა ამერიკის ელჩს ბერნში დასდოს ხელშეკრულება ოსმალეთთან.

**საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმება არ ყოფილა.**

**პარიზი.** 4 ივნისი. „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტი იტყობინება ლოზანიდან, რომ საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმებას, რომლის შესახებ აღნიშნავდენ ზოგიერთი გაზეთები, ადგილი არ ქონებია. საფრანგეთს და ოსმალეთს შორის არსებობს მხოლოდ ერთი შეთანხმება, რომლის ტექსტი თავის დროზე გამოქვეყნებული იყო.

**საფრანგეთის მოთხოვნილება.**

**პარიზი** 4 ივნისი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით. საფრანგეთის წარმომადგენელმა გადასცა ადნანბეის ნოტა, რომლითაც მოითხოვს ათინის ბანკის გახსნას და მასზე მხოლოდ. ოსმალეთის კონტროლის დაწესებას. ნოტაში აღნიშნულია, რომ ამ ბანკის დახურვა ზიანს აყენებს მოკავშირეთა ინტერესებს.

## ოსმალეთის სოციალისტების დატუსაღება

**„მე-3 ინტერნაციონალი ერთად ერთი დამხმარეა ოსმალეთისათვის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.**

**ანგორა** 2 ივნისი. გაზეთ „აიდინლიკა“-ს რედაქტორი, რომელიც დატუსაღებულ იქნა კომუნისტობისათვის, გაზეთ „იეჯია“-ს კორესპონდენტს განუცხადა: „ჩვენი წერილები „აიდინლიკა“-ში მთავრობის მიერ დამტკიცებულ სოციალისტურ პარტიის ორგანიზაციის შესახებ, სავსებით ემყარებიან კანონებს. წერილებმა ცენზურა გაიარეს ჩვენ კრიტიკას უკეთებდით მთავრობას, მაგრამ გამოვდიოდით რეაქციის წინააღმდეგ და ვიცავდით ეროვნულ რევოლუციას. „აიდინლიკა“-ს თანამშრომლებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ პირველ მაისის პროკლამაციასთან, თუმცა ამ გაზეთების მიერ გადაბეჭდილ პროკლამაციაში, მე ვერაფერი ვერ ვიპოვე ისეთი, რაც თანამედროვე მთავრობას ეწინააღმდეგებოდეს.

პოლიტიკური აგენტის ცნობა ჩემი მოსკოვში გამგზავრებისა და მესამე ინტერნაციონალის კონგრესში მონაწილეობის მიღების შესახებ, სწორი არ არის: მე რუსეთში არ წავსულვარ, მაგრამ მე რომ მქონოდა შემთხვევა—წავიდოდი, რადგან ევროპიულ ორგანიზაციებში მე-3 ინტერნაციონალი არის ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ოსმალეთს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

## რუსეთი და იაპონია

**აზრს იცვლიან.**

**ტოკიო.** 2 ივნისი. ამ ბოლო დროს იაპონიის ხელმძღვანელ წრეებში ეჩნევა გადახრა რუსეთთან დაახლოვების სასარგებლოდ მილიტარისტული წრეებიც კი მომხრეობას იჩენენ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის შესახებ და ასეთი კავშირი სასარგებლოდ მიაჩნიათ თავისი ქვეყნის თავდაცვის საქმისათვისაც.

**იაპონია მოლაპარაკებას იწყებს რუსეთთან.**

**ტოკიო.** 1 ივნისი. იაპონიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დაიწყოს რუსეთთან წინასწარი მოლაპარაკება და თავისი პროექტიც წარადგინოს, რომელიც განხილულ იქნება კაბინეტის უახლოეს სხდომაზე.

**იაპონიის მუშები რუსეთის მეგობრებთ გაჰყვებიან.**

**ტოკიო** 1 ივნისი. გუშინ გაიმართა ბანკეტი იოფფეს პატივსაცემლად, რომელზედაც დაესწრნენ ზედა და ქვედა პალატის დეპუტატები, მეცნიერნი, პუბლიცისტები, ჟურნალისტები, და ვაჭარ-მრეწველნი. ბანკეტზე დაესწრო 600 კაცზე მეტი. პროფესორმა ინაკემ იოფფეს მისალმების სიტყვით მიმართა და განაცხადა: ახლოვდება ხანა, როდესაც ცივილიზაციის ცენტრი კვლავ გადავა აზიაში. რუსეთი, იაპონია და ჩინეთი ჰქმნიან ახალს მსოფლიო კულტურას.

იოფფემ, ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ბანკეტს. მისი სამადლობელი სიტყვა წაიკითხეს იაპონურ ენაზე, რომლის დროსაც ხშირი ტაშის ცემა ისმოდა. ბანკეტზე ილაპარაკა მუშათა წარმომადგენელმა, რომელიც მიესალმა რუსეთის მუშათა და გლეხთა ბრძოლას და განაცხადა: იაპონიის მუშები მზად არიან გაჰყვნენ რუს ამხანაგების გზასაო.

## სხვადასხვა ამბები

**შავი რაზმი ამოძრავდა.**

**პარიზი.** 1 ივნისი. ცნობილმა შავრაზმელმა ქალმა ოლდა ნოვიკოვისამ, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ბერლინისა და ბელგრადის მონარქიულ ორგანიზაციებთან, ინგლისის მთავრობას მემორანდუმი მიართვა, რომელშიაც საბჭოთა მთავრობასთან აქტიურ ბრძოლისაკენ მოუწოდებს ინგლისის მთავრობას.

რურ ოკუპ

**პუანკარე ურცხვოთ სტყუის.**

**ბერლინი.** 31 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატი“ უარყოფს პუანკარეს მიერ მოყვანილ ცნობებს რურის ოკუპაციის შედეგების შესახებ. პუანკარემ სთქვა, რომ რურის ოკუპაციით საფრანგეთმა მიიღო 500 მილიონი ფრანკი მოგება. რაც უდრის 1 500 მილიარდ მარკას. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთს არ შეეძლო მიელო 250 მილიარდ მარკაზე მეტი, რაც შეადგენს საოკუპაციო ხარჯების მეექვსედს. გაზეთი ამტკიცებს, რომ 15 მაისის შემდეგ კოქსის გატანა შემცირდა, ამას გარდა რურის კოქსი არ ვარგა ღუმელების გასათბობად.

### ბელგია.

**ვანდერველდეს ორპირობა.**

**პარიზი.** 1 ივნისი. ბელგიის პარლამენტში ვანდერველდემ ფანტასტიურად ჩასთვალა კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული ბრალდება სახელმწიფოებრივი ღალატისა და მოითხოვა დატუსაღებულთა განთავისუფლება.

### იტალია

**მუსოლინის კაბინეტის რეორგანიზაცია.**

**პარიზი.** 4 ივნისი. იტალიის გაზეთების ცნობით მოსალოდნელია ცვლილებები მუსოლინის კაბინეტში. კაბინეტში შევა ლიბერალი ჯიოლიტი და სალანდრას ჯგუფის წარმომადგენელი.

### პოლონეთი

**ვიტოსის პროგრამა.**

**პარიზი.** 4 ივნისი. პოლონეთის ახალმა პრემიერმა ვიტოსმა მოახსენა სეიმს თავისი კაბინეტის პროგრამის შესახებ. ვიტოსი მოითხოვს რუსეთთან რაც შეიძლება დაჩქარებით შეთანხმებას და უდიდეს ეკონომიას სახელმწიფო ხარჯებში.

### ამერიკა

**ბანკირების კონცესიები.**

**ლონდონი.** 4 ივნისი. „ნიუ-იორკ-ჰერალდის“ ცნობით ამერიკელ ბანკირების ერთმა ჯგუფმა ბერტრან გასკინის მეთაურობით ჩეხო-სლოვაკეთში მიიღო კონცესია ერთი მილ. აკრი ტყის დამუშავების შესახებ.

**ამერიკის ფლოტი ინგლისის წყლებში.**

**ლონდონი.** 4 ივნ. 10 ივნისს ინგლისის წყლებში შემოვა ამერიკის დიდი ესკადრა. ესკადრა შევა კლაიდის ნავთსადგურში. ესკადრაში შედის ამერიკის ოთხი უდიდესი გემი: „არკანზას“, „ფლორიდა“, „დელავერი“ და „ნორდფ დაკოტა“.

### ინგლისი

**ჟორესის ძეგლის გახსნა.**

**ლონდონი.** 4 ივნ. კარმოში გაიხსნა ჟორესის ძეგლი. ძეგლის გახსნას დაესწრო სოციალისტური პარტიის და ლიბერალების რამოდენიმე ათასი წევრი. ძეგლის დასადგმელად არჩეული კომისიის თავმჯდომარე ანატოლ ფრანსი დღესასწაულს ვერ დაესწრო. მის მაგიერ თავმჯდომარეობდა ალბერ ტომა. ორატორი სოციალისტები აღნიშნავენ, რომ ჟორესი მოკლეს როიალისტებმა, ტომამ წაიკითხა ანატოლ ფრანსის მოწოდება, რომელშიც მცხოვანი მწერალი ამბობს, რომ საფრანგეთის მდგომარეობა ამ ჟამად უფრო უარესია, ვიდრე ომამდის იყო „არასოდეს საფრანგეთი არ ყოფილა ისეთ ტრაგიკულ მდგომარეობაში, როგორც ეხლა. და ყველაფერი ეს ხდება სახელმწიფოს ახლანდელი ხელმძღვანელების წყალობით“, ამბობს ანატოლ ფრანსი.

### საფრანგეთი.

**სკანდალი დეპუტატთა პალატაში.**

**ბერლინი.** 4 ივნისი. როიალისტები პარიზში თავს დაესხენ „ადამიანთა უფლებების ლიგის“ წევრებს. ამის გამო ერიომ და სხვა დეპუტატებმა სასტიკად გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან თავის დროზე არ მიიღო ზომები როიალისტურ ექსცესების წინააღმდეგ. კამათის დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ უკვე გაცემულია განკარგულება როიალისტთა ორგანიზაციების დახურვის შესახებ. კამათის შემდეგ პალატამ 379 ხმით 191 წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

### ისპანია.

**ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.**

**პარიზი.** 4 ივნისი. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ბარსელონაში ძლიერდება. მუშაობა ნავთსადგურში სრულიად შეწყდა.

### ავსტრია.

**რეაქცია შეტევაზე გადმოდის.**

**პარიზი** 4 ივნისი. გრაფმა ჩერნინმა ავსტრიის პარლამენტში ყოფილ კანცლერს რენნერს ბრალი დასდო იმაში, რომ ის ავსტრიაში მოუწოდებდა ინგლისელებს და ამზადებდა ნიადაგს სახელმწიფო ხელისუფლების სოციალისტებისათვის გადასაცემად. ჩერნინი მოითხოვდა სოციალისტების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებას და სოციალისტების დატუსაღებას.

### იტალია.

**იტალიის პარლამენტის გაშვების წინ.**

**პარიზი** 4 ივნისი. მილანიდან მიღებული ცნობით მუსოლინის განზრახვა აქვს გაუშვას იტალიის პარლამენტი.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**სამხედრო მუშაკთა თათბირი.**

**მოსკოვი.** 1 ივნისი. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შტაბთან დამთავრდა სამხედრო მუშაკთა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი წითელი არმიის ტერიტორიალური დივიზიების მოწყობის შესახებ. თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამილიციო წესებზე გადაყვანილი არმიის ნაწილები სამხედრო ცოდნით არ უნდა განსხვავდებოდენ საკადროებისაგან. იმ მიზნით, რათა არ დაიცეს სახელმწიფოს თავდაცვითი უნარი, თათბირმა მიუთითა იმ სიფრთხილეზე და განსაკუთრებულ ყურადღებაზე, რომლითაც უნდა მიუდგენ ტერიტორიალური დივიზიების მოწყობას.

თათბირმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ამ ჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ჯარში გასაწვევ ჰასაკამდე მომზადება, რომელიც უნდა ხდებოდეს არმიის აპარატთან დაკავშირებით. იმ მიზნით, რათა გავრცელებული იქნეს ფართო მასებს შორის არმიის ორგანიზაციის ახალი წესები, თათბირს საჭიროდ მიაჩნია, რომ რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირმა მიიღოს შეფობა ახალგაზრდებზე – ჯარში გასაწვევ ჰასაკამდე, ხოლო პროფკავშირებმა—ტერიტორიალურ ნაწილებზე.

**ტრანსპორტის მობილიზაცია.**

**მოსკოვი.** 2 ივნისი. გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ძერჟინსკიმ გასცა ბრძანება, რათა 40.000 ვაგონი გამზადებული იქნეს საშემოდგომო გადაზიდვისათვის. მასალების შესაძენად გადადებულია 700,000 მან. ოქროთი.

**ძმური დახმარება.**

**მოსკოვი.** 2 ივნისი. რუსეთის კომპარტიის ბაუმანოვსკის რაიონულმა კომიტეტმა მიიღო შეფობა რევოლიუციონერებზე, რომლებიც იმყოფებიან რუმინეთის ციხეებში.

**მოსკოვის განტვირთვა.**

**მოსკოვი.** 2 ივნისი. მოსკოვის განმტვირთავმა კომისიამ დაადგინა განტვირთოს მოსკოვიდან ს. მ. უ. ს. მთელი რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის შუშეულობის და ფაიფურის ტრესტი, ასანთის სინდიკატი, პოლიგრაფ-ტრესტი, „სევეროლესი“ და აგრეთვე ორი სამეცნიერო ინსტიტუტი.

**ნათესების მოედანი გადიდდა 20 პროცენტით.**

**მოსკოვი.** 2 ივნისი. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წელს ნათესების მოედანი გასულ წელთან შედარებით გადიდდა 20 პროცენტით.

**კურორტებზე მიმავალთა საყურადღებოთ.**

**მოსკოვი.** 2 ივნისი. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი იუწყება, რომ იმ ავადმყოფებს, რომლებსაც მიღებული აქვთ საკურორტო-სანიტარული ბარათები უფასო საწოლების მისაღებად, უფასოთ მიეცემათ სამგზავრო ბილეთი კურორტამდე, რიგს გარეშე, ხოლო კასაში, თავისი სამგზავრო წიგნაკის წარდგენით, ამასთანავე გადახდებათ პლაცკარტისა და სისწრაფისთვის.

**პურის ექსპორტი.**

**მოსკოვი.** 2 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა: ყველა საფრახტო ელევატორები, თუ სხვა საწყობები ნავთსადგურის მიდამოებში, რომლებიც დანიშნულია საგანგებოდ საექსპორტო საქონლისათვის, არ შეიძლება დაბანდებული იყოს სახელმწიფოს შიგნით მოსახმარი პურით, ელევატორთა ტევადობის ნახევარი დათმობილი აქვს „პურის ექსპორტს“, მეორე ნახევარი კი სიექსპლოატაციო ორგანიზაციებს და აგრეთვე სახალხო სასურსათო კომისარიატს.

**მენშევიკები აქაც დამარცხდენ.**

**ვიტებსკი.** 1 ივნისი. ხდება ხელახალი არჩევნები ქალაქის საბჭოში. კომუნისტები გამყავთ ყველა წარმოებებში ერთხმად. მენშევიკებმა სცადეს თავიანთი კანდიდატების წარმოდგენა, მაგრამ ეს უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

**თანამედროვე რუსეთს უნდა ჰყავდეს უძლეველი წითელი ფლოტი.**

**მოსკოვი.** 3 ივნისი. რუსეთის ტელეგრაფთა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს რუსეთის საზღვაო ძალთა კომისარმა განაცხადა; ამ ზაფხულისათვის საზღვაო უწყება მიზნად ისახავს პრაქტიკული მეცადინეობა აწარმოოს ყველა ზღვაზე, განსაკუთრებით კი შავ ზღვაზე, რომ რიგიანი გამოცდილება შეიძინოს „წითელი ფლოტის ახალ პროლეტარულ კადრებს“. კომისარმა აღნიშნა: დრო არის შევუდგეთ ძველთაგან დარჩენილ გემების არსებითს შეკეთებას და ამასთანავე საჭიროა მცირე ფარგლებში მაინც შევუდგეთ ახალი ფლოტის აგებას. ინგლისის უკანასკნელი ნოტები ერთხელ კიდევ გვითითებენ, რომ საჭიროა რიგიანი მებრძოლი ფლოტის შექმნა. საბჭოთა რესპუბლიკებს უკვე ჰყავს უძლეველი წითელი არმია. მას უნდა ჰყავდეს აგრეთვე უძლეველი წითელი ფლოტიც.

## „ბლოკადიდან ბლოკადაზე“

**მოსკოვი.** 3 ივნისი. ამხ. სტეკლოვი „იზვესტიაში“ წერილში სათაურით „ბლოკადიდან ბლოკადაზე“ სწერს: „ინგლისთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის საფრთხე ჯერ არ გამქრალა. საბჭოთა რესპუბლიკა წავიდა იმდენ დათმობებზე, რომ მეტი შეუძლებელია. ინგლისის დიპლომატიის შანტაჟისტობა უფრო იზრდება, რამდენადაც ჩვენ მეტ დათმობებზე მივალთ. კონსერვატიულ პარტიას დიდი ხანია სურს ჩვენთან კავშირის გაწყვეტა. ახალი ომის საფრთხე ახლა არსებულ ძალთა და მასების სულიერი განწყობილების პირობებში არ არის სავსებით რეალური, მაგრამ შესაძლებელია ბლოკადის განახლება.

ფაქტიურად რუსეთის ბლოკადა გრძელდება. „დიდ“ სახელმწიფოებს რუსეთი ფინანსიურ-სამეურნეო ბლოკადის რკალში ყავთ, ამით სურთ მათ ხელი შეუშალონ ჩვენ სამეურნეო აღდგენას და გვაიძულონ ჩვენ დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებები.

მაგრამ ფაქტიურ ბლოკადას დაინტერესებულ კაპიტალისტური ჯგუფების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. ინგლისის იმპერიალისტებს სურთ დაუბრუნდენ ძველი ფორმალური ბლოკადის პოლიტიკას. ამით სურთ იმედები უფრო ჩქარა გაინაღდონ. ჩვენ უფლებას მივცემთ ჩვენ თავს ეჭვი შევიტანოთ ამაში. უარეს შემთხვევაში ჩვენი კომერციული საქმეები ინგლისელებისაგან გადავა სხვა ხელში. ამით უფრო დაზარალდება ინგლისის ბურჟუაზია, ვიდრე ჩვენ, ამიტომ, ჯერ-ჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ინგლისის კაპიტალისტები ნებას მისცემენ ლორდ კერზონს ბოლომდი მიიყვანოს თავისი პოლიტიკა“.

## საზღვარგარეთის მუშათა მოძრაობა

**ბრძოლა დამპყრობელთა და მკვიდრთა შორის.**

**ვენა.** 1 ივნისი. მაროკოში ხანგრძლივი ბრძოლაა გამართული ფრანგების ჯარსა და ადგილობრივ მეამბოხეთა შორის.

**ბელგიის რკინის-გზელების გაფიცვა ძლიერდება.**

**პარიზი.** 1 ივნისი. ბელგიის რკინის-გზელების გაფიცვა საგრძნობით გაიზარდა. მთავრობამ მოახდინა რკინის-გზელების 4 ახალი კატეგორიის მობილიზაცია. გაფიცულთა ბინებში ჩხრეკა გრძელდება.

**მუშებს არა სურთ მრეწველობის შეფერხება.**

**ლონდონი.** 1 ივნისი. მაღაროს მუშაკთა კავშირების საგანგებო კონფერენციამ 622,000 ხმის უმეტესობით, 122,000 წინააღმდეგ დაადგინა: არსებულ ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა გადასდონ 10 ივნისისათვის დანიშნულ მაღაროს მუშათა კავშირის წლიურ კონფერენციამდე. ეს გადაწყვეტილება საშუალებას აძლევს პარლამენტს, განიხილოს კანონპროექტის ხელფასის მინიმუმის შესახებ.

ეჭვს გარეშეა, რომ უმრავლესობა ფაქტიურად მომხრეა ხელფასის მინიმუმის გაუქმებისა. ამ საკითხის გადადება კი აიხსნება კავშირის თავმჯდომარის ჰერბერტ სმიტის სიტყვებით: „ჩვენ პატიოსნათ ვეკიდებით ერსა და საზოგადოებას: ჩვენა გვინდა კიდევ ვადროვოთ მათ რათა საშუალება მივცეთ გამოიჩინონ თავისი სამართლიანობა მაღაროს მუშათა პატიოსანი მოთხოვნილების საქმეში. ჩვენ ვერიდებით ვაჭრობა-მრეწველობაში არევ-დარევის შეტანას, ხანამ ყველა მშვიდობიან საშუალებას არ მივმართავთ ამ საკითხის გადასაჭრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხელშეკრულება უნდა დაირღვეს.

## ამიერ კავკასიის ფედერაციაში

### აზერბეიჯანი.

**ბაზრობაზე.**

**ბაქო.** 3 ივნისი. მოეწყო დროებითი საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება „ბაქოს—ბაზრობა“.

**ბაქო** 3 ივნისი. სპარსეთიდან მოვიდა გემები „ისლამ“-ი და „კარლ მარქს“-ი, და ბაზრობისათვის ჩამოიტანა დიდძალი ბამბა და გამხმარი ხილეული.

**ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება.**

**ბაქო.** 3 ივნისი. მაისის განმავლობაში ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების ამბულატორიებით უსარგებლია 64,000 ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეს.

**ნავთის წარმოება.**

**ბაქო.** 3 ივნისი. 29—30 მაისს ბაქოს ნავთის სამრეწველოებზე სულ ამოუღიათ 1,285,000 ფ. ნავთი. აქედან გამოუხდიათ 842,000 ფუთი, გამოხდის შემდეგ მიუღიათ 850,000 ფუთი, დაუწმენდიათ 282,000 ფუთი.

**პირველი წყება თურქ მასწავლებლებისა.**

**ბაქო.** 3 ივნისი. 2 ივნისს დიდის ზეიმით გამოუშვეს პირველი წყება თურქების ვაჟ მასწავლებლებისა სამასწავლო სემინარიიდან. ამათ გავლილი აქვთ სემინარიის სრული კურსი და აგრეთვე საგანგებო პედაგოგიური კურსი დისციპლინისა თურქულს ენაზე. ყველა ეს ახალგაზრდა კომუნისტები, ზაფხულის კანიკულების შემდეგ, დაიგზავნება აზერბეიჯანის მაზრებში.

**ებრაელთა თორა.**

**ბაქო.** 3 ივნისი. სასამართლო საჩივრის გამო, ამ ცოტა ხანში ხელმეორედ იქნება განხილული საქმე ხედერების მოწყობისა ებრაელთა თორასთან, რომლის თაობაზედაც 13 კაცს ჰქონდა მიცემული იძულებითი მუშაობა სხვა და სხვა ვადით.

## ქართული ცხოვრება

**საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის მუშაობა მაისში.**

საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო მოწაფეთა შორის მუშაობის წარმოებაზე. და ამ ჟამად ამ მუშაობამ შესამჩნევი შედეგები მოგვცა. ტეხნიკუმებთან მოწყობილია 17 კოლექტივი, 17 მარქსისტული წრე, რომელშიც მეცადინეობს 508 კაცი.

რამოდენიმეთ აფერხებენ მუშაობას ამ ჟამად დაწყებული გამოცდები. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის გავლენა მოწაფეთა შორის დღითი დღე იზრდება.

**უჯრედების კონკურსმა კარგად ჩაიარა.**

თბილისის ორგანიზაციის მიერ მოწყობილი ერთიანი საკავშირო დღე შეუფერხებლად ტარდება. საორგანიზაციო განყოფილებასთან დაარსებული კოლეგია წარმატებით მუშაობს.

გატარებულ იქნა უჯრედების კონკურსი, რომელმაც ხელი შეუწყო მუშაობის აწევას რამოდენიმე უჯრედებში.

უჯრედების რესპუბლიკანურ კონგრესზე თბილისის ორგანიზაციამ წარმოაყენა 12 სამაგალითო საწარმოო უჯრედი. 15 მაისს დამთავრდა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრებისა და აქტიური მუშაკების ამიერ-კავკასიის აღწერა.

**კომუნისტების ხვედრი კავშირში.**

ორგანიზაციაში ამ ჟამად კომუნისტები და კანდიდატები შეადგენენ 2 პროცენტს; 1 აპრილისათვის კი ორგანიზაციაში კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ მხოლოდ 1 პროცენტი. გადიდება გამოწვეულია კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ძველი არალეგალური წევრების კომპარტიის წევრებად გადაყვანის საშუალებით. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის თბილისის ორგანიზაცია თავის უახლოეს ამოცანად სთვლის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ძველი წევრების კომპარტიის წევრებად კიდევ გადაყვანას, რაც, უეჭველია, კავშირის მუშაობას უფრო გააძლიერებს.

**პოლიტიკურ განათლების ფრონტზე.**

საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა საანგარიშო თვეში უფრო ღრმა და ნაყოფიერი იყო.

პოლიტიკური განათლება საბოლოოდ იქნა მოყვანილი სისტემაში.

ინსტრუქტორები რეგულიარულად მეცადინეობენ პოლიტიკურ წრეებში თბილისის კომიტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით. რაიკომების მუდმივი გამომცდელი სამეულები სინჯავენ წევრების ცოდნას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოლიტიკურ წრეებში მუდმივი შემადგენლობის შენახვას და გამოცდების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

**აქტიურ წევრების თვითგანვითარება.**

შეთვისებულია და ცხოვრებაში გატარებულია რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილება აქტიურ მუშაკებისათვის სავალდებულო მინიმუმის შესახებ.

რაიონებში თვითგანვითარებისათვის მოწყობილია საბიბლიოტეკო კომისიები.

აღრიცხვაზე აღებული თბილისის ორგანიზაციის ყველა აქტიური მუშაკები და დაყოფილი არიან კატეგორიებად მომზადების მიხედვით.

ივნისის დამლევს დაიწყება გამოცდები. აქტიური მუშაკები ენერგიულად მეცადინეობენ, რადგან ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას თავისი ცოდნისათვის.

**კომუნისტური აღზრდის სახლი.**

სახლისათვის მიღებულია საშუალებები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ყოფილი სობორის მოწყობა.

დაწყებულია მუშაობა სექციებში. სახლმა გააერთიანა ქალაქის ყველა კულტურული ძალები. საბოლოოდ გამორკვეულია მუშაობის ტემპი და ხასიათი. სახლის გახსნა განზრახულია ახალგაზრდობის დღეს.

## დუშეთის გლეხთა აჯანყების 5 წლის თავის გამო

(ძია ჭორიკი ამხანაგებს)

17-ივნისს სრულდება ხუთი წელიწადი დუშეთის გლეხთა გრანდიოზული აჯანყების შემდეგ. როგორც 1921 და 22 წელს, მაზრის ხელისუფლებას სურს 5 წლის თავი აღინიშნოს უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე წარსულ წლებში. მე აქ არ შევეხები იმას თუ რამ გამოიწვია დუშეთის გლეხთა აჯანყება და რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას. ამაზედ ჩვენ ვილაპარაკებთ 17 ივნისის დღესასწაულის დღეს, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ დუშეთის გლეხთა აჯანყება ეს იყო ნაყოფი მენშევიკების ვერაგული პოლიტიკისა გლეხების კერძოთ და საერთოთ მთელი მუშათა კლასის მიმართ. და სწორედ დუშეთის გლეხთა აჯანყებამ პოლიტიკური ფიზიონომია მენშევიზმისა სავსებით გამოაშკარავა.

აძლევს რა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მაზრის ხელის უფლება ამ ფაქტს უდიდეს მნიშვნელობას ის სთხოვს ყველა ამხანაგებს, რომლებმაც მაშინ მიიღეს მონაწილეობა, ამ აჯანყებაში და იყვნენ აქტიური მონაწილენი, უძღვნან ამ დღეს, 17 ივნისს, გაზეთებში წერილები დუშეთის აჯანყებას. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ რომ ამხანაგების მიერ ეს ჩვენი თხოვნა იქმნება შესრულებული.

ი. ხუხუა.

ქ. დუშეთი.

## ეკონომიური ცხოვრება

**ვალიუტის კურსი თბილისში.**

(4 ივნისი)

ჩერვონცები —11,350 ათასი.
გირვან. სტერ. —12,900 ათასი
დოლარი —3,100 ათასი
ოსმალ. ლირა —20,50 ათასი.
საბჭ. ფულ. ნიშნ.—20,5 ათასი.

**ძვირფასი ლითონების კურსი**

(4 ივნისი)

(ჩერვონცებში.)

ოქრო 96 სინჯის—7 მ. 35 კ.; ოქრო 56 სინჯ.—3 მ. 67 კ.; ვერცხლი 84 სინჯის—14 კ., ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—37 კ.

**ვალიუტის ბაზრის მიმოხილვა.**

საგრძნობლად იწევს ფასები საბჭოთა ფულის ნიშნებზე. ჩანარჩენი ვალიუტის კურსი მტკიცეა. დღეს ბირჟაზე იყო დიდი მიწოდება—მოთხოვნილება კი ნაკლები.

**ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.**

(4 ივნისი)

თოკი, შპაგატი, მატყლი, ბრინჯი სპარსული, შაქარი რაფინადი, ხორბლის ქატო, გერმანული მედიკამენტები, სკიპიდარი ნახევრად თეთრი და ტეხნიკური, წებო სადურგლოებისათვის, ქვა-მარილი, თუშური მატყლი, ავსტრიული ცელები, კაუსტიური სოდა, რუსული ასანთი, საშენი ლურსმანი, ჩაი „გერმეს“, გოგირდი „ზუდა“, ცხვრის ნაწლევები, ფოთოლი თამბაქო სოხუმის და ლაგოდეხის.

**ბირჟის მოთხოვნილება.**

მაკარონი, ჩაი. აგდაშის ბრინჯი. ფხვნილი შაქარი, ჩაქვის ჩაი, ფოთოლი თამბაქო, გოგირდი „ზუდა“, ბამბა, მატყლი, საშენი ლურსმანი, შაბიამანი, ყუბანის „რაზმოლი“, ქინაქინა, ღვიძლები, ფქვილი პირველი ხარისხის, ცხვრის ნაწლევები, ბრეზენტი მოსასხამისათვის, რკინა.

**საქონლის ბირჟის მიმოხილვა.**

(4 ივნისი).

ბაზრის საერთო განწყობილებას ახასიათებს შესუსტება. შემჩნეულია შეჩერება—გარიგება იშვიათად ხდება. ფასები მტკიცეა.

**საქონლის ბაზრის ფასები.**

(4 ივნისი).

ყუბანის ხორბალი—1800. ადგილობრივი ხორბალი—1600, ქერი ფუთი—600—700, სიმინდი—400—450, ქვა მარილი—1800, ფქვილი „კრუპჩატკა“—3.600, ფქვილი—1,800—1,900 შაქარი რაფინადი.—გადადუღებული ერბო—2,400—2500 თუშური ყველი—6,000—13,000.

**მთლიანი მუშათა კოოპერატივის ფასები.**

ფხვნილი შაქარი—340 ათ. თეთრი პური—45 ათ. საპონი „ბაბიტი“—350 ათ. საპონი „ტოლე“—340 ათ. მარმარ. საპონი ადგილობრივი—330 ათ. ასანთი—40 ათ. ლობიო—25—35 ათასი.

**ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.**

ნატეხი შაქარი. ფხვნილი შაქარი. ქატო. ტეხნიკური და ნახევრად თეთრი სკიპიდარი. სახურავის რკინეულობა. ნახიჩევანის ქვა-მარილი. თუშური მატყლი. ავსტრიული ცელები. კანაფი. რკინა—ნამტვრევი. ფურცლოვანი სპილენძი. აბრეშუმის საკრეზი. სოდა. რუსეთის ფართლეულობა. რუსეთის ასანთი—ვოლკოვისა. ჩაი „გერმეს“. გოგირდი „ზუდა“. ცხვრის ნაწლევები. ტყავის ღვედები. მარსელის საპონი „ილექტრა“. ა [illegible] პარაფინი. სოხუმის და ლ [illegible] ფოთლოვანი თამბაქო.

**ბირჟის მოთხოვნილება.**

ჩაქვის ჩაი. მაკარონი და ვერმიშელი. ფოთლოვანი თამბაქო. გოგირდი „ზუდა“. ბამბა. მატყლი. საამშენებლო ლურსმნები. შაბიამანი. ქინაქინა. ზაბი. ნაფტალინი. 1 ხარ. ფქვილი. ცხვრის ნაწლევები. ბრეზენტი მოსასხამისათვის. მუშების ფეხსაცმელები უმაღლეს ხარისხის. სახურავის რკინეულობა 1 ხარისხის.

**ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.**

საუწყებათაშორისო თათბირმა რომელიც ამ დღეებში მოხდა ამიერ. კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში, ავტომობილების შემოზიდვის საკითხის განსახილველად ამიერ-კავკასიაში, ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ყოველის ღონისძიებით ხელი შეუწყოს ავტომობილების შემოზიდვას არა მარტო სატრანსპორტო და საეკონომიო საჭიროებისათვის არამედ იმის მიხედვითაც, თუ რას მოითხოვს დღევანდელი ვითარება. ამასთანავე თათბირმა დაადგინა ამოირჩიოს რამოდენიმე სისტემის მოტორები, რომლებიც უფრო შეეფერება ამიერ-კავკასიის ტოპოგრაფიულ პირობებს, ჩვენი გზების მდგომარეობას, ამავე დროს მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული მოტორების გამძლეობაც. არჩეულია საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშავოს ტეხნიკურ პირობებსა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოტორები. მოტორების ტიპის არჩევა მოხდება მათი შეჯიბრების შემდეგ ამიერ-კავკასიის გზებზე.

## საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

**ხე-ტყის მასალის განაღდება.**

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ხე-ტყის მასალა ბაქოში გაანაღდოს.

**სასინჯი პალატის გადაცემა.**

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თანახმად, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა ჩაიბაროს სასინჯი პალატა და გადასცეს იგი წონისა და ზომის პალატას.

**ტყიბულის მაღაროების ახალი სახელწოდება.**

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს დაერქვას ალიოშა ჯაფარიძის სახელობის მაღაროები.

**ახალი თანამდებობის დაწესება.**

რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტრესტებთან და სინდიკატებთა მჭიდრო კავშირის გასაბმელად, დაწესდა ახალი თანამდებობა —საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რწმუნებულისა მოსკოვში.

**საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობა სამრეწველო საკითხების შესახებ.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ კომიტეტის პლენუმის წინაშე, ქვემოხსენებულ გადაუდებელ საკითხების შესახებ: მრეწველობის ფინანსიური დახმარება, სამრეწველო ბანკის დაარსების სახით და ყველა წარმოებითი დაწესებულებების გაერთიანება ერთს ორგანოში, სახელდობრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელში. ეს უკანასკნელი შუამდგომლობა გამოწვეულია იმ ზარალით, რომელიც მოსდევს სახალხო მეურნეობის დაქსაქსვას.

ასე მაგ.—„ტემბა“ გადაეცა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს, ბორჯომის მამული—სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს, აბასთუმნის არყის ქარხანა—ზუგდიდის აღმასრულებელ კომიტეტს, შავი ქვის მრეწველობის სამმართველო დაექვემდებარა სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო სამმართველოს.

## პროვინცია

### ცეკავშირი.

ახალი გამგეობის უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული სამ დარგზე: 1) სავაჭრო, 2) არა სავაჭრო (სეკრეტარიატი) და 3) საწარმოოზე.

სავაჭრო დარგის მუშაობა მოკლეთ გამოიხატება შემდეგში:

1) გამგეობამ გადასწყვიტა გახსნა დუშეთის მაზრაში ცეკავშირის განყოფილება, რომლის საშუალებით მომხმარებელს აწოდებს საქონელს.

2) ახალციხეში და ახალქალაქში რაიონული კავშირი არ არსებობდა და კოოპერატივებიც ნაკლები იყო. გამგეობამ გახსნა ახალციხეში თავისი განყოფილება.

3) აიღო ბორჯომის წყლის მონოპოლია და გაგზავნა რუსეთში რამოდენიმე ვაგონები.

4) დასდო მთავრობასთან ხელშეკრულება აბრეშუმის პარკის ოპერაციების შესახებ.

5) მოაწყო ღვინის დამზადება, საქმე სათანადო კოოპერატიულ მევენახეთა საზოგადოების საშუალებით და უკვე შეძენილი აქვს 10,000 ვედრომდე ღვინო.

6) აწარმოებს მატყლის დამზადებას ცენტროკავშირისათვის.

7) გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სიმინდის საზღვარ გარეთ გატანის შესახებს რაც დაკმაყოფილებულ იქნა, რის

შემდეგ ცეკავშირი რაიონული კავშირების საშუალებით შეუდგა მის დამზადებას.

8) გამგეობამ გაგზავნა რუსეთში რამოდენიმე ვაგონი საქონელი.

9) ცეკავშირმა მიიღო რუსეთიდან რამდენიმე ვაგონი სხვადასხვა საქონელი, ღირებული 400.000 მ. ოქროთი.

სეკრეტარიატის მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა საინსტრუქტორო საორგანიზაციო საქმიანობაზე: მთელი ძირითადი კოოპერატიული ქსელის გადახალისება და მისი ახალ პრინციპებზე აშენება დამკვრელ ამოცანათ იქნა აღიარებული.

დაგზავნილ იქნა რაიონებში ინსტრუქტორები მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებათა დაარსების კამპანიების ჩასატარებლად. ამასთანავე სეკრეტარიატის მიერ გაწეულ იქნა წინასწარი მუშაობა წესდების, ინსტრუქციების და სხ. გამოსამუშავებლად.

საწარმოო დარგის მთავარი ყურადღება იყო მიპყრობილი აბრეშუმის საქსოვ ქარხნის შეძენისკენ. უკვე შეძენილ ქარხნის მსგავსი საქართველოში არ მოიპოვება. ქარხანაში რამოდენიმე დაზგა უკვე მუშაობს; დანარჩენი კი ამუშავდება რამოდენიმე კვირაში. ცეკავშირმა შეიძინა აგრეთვე კერამიკული ქარხანა.

საწარმოო დარგმა შეკეთება მოახდინა გორის საკონსერვო ქარხნისა.

გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქცია შტატების შემცირებას და არა საიმედო პირებისაგან ცეკავშირის გაწმენდას.

ვუსურვებთ ცეკავშირს ასეთივე ხალისით და ენერგიით გააგრძელოს თავისი მუშაობა.

ელ—რ.

# მიწის რეფორმის გარშემო

## შორაპნის მაზრა.

(პასუხი).

მოქალაქე დათიკო მღივნიშვილი ეხება („კომუნისტი“ № 119) ს. ილემის მიწის კომისიის მოქმედებას, და უყენებს ბრალდებებს მას, თითქოს ვერ იქცეოდენ ისინი კანონიერათ მიწების ჩამორთმევა-დარიგების დროს, მაგ.: ვისაც შეეხენ, სულ გაანადგურეს, ჩამორთმეული კარგი მიწები, სახნავი და ვენახი მისაკუთრეს; ვისაც არ შეხებიან, ის სულ თავისუფალი დარჩა.

ასეთი ბრალდებები ხშირათ შემოდიოდა განყოფილებაში მემამულეებისაგან; ცდილობდენ როგორმე მოეცხოთ ჩირქი ს. ილემის კომისიისათვის, მაგრამ ასეთი შემოსული ცნობების გამორკვევის დროს, ადგილობრივი ნახვით, არ აღმოჩნდა ხოლმე არავითარი დამამტკიცებელი კომისიის ბოროტ ნამოქმედარისა და, რადგან სოფ. ილემში, როგორც დათიკო მღივნიშვილისაგან, ისე სხვა ამგვარ უკმაყოფილო ელემენტებისაგან, იყო შემოტანილი ცნობები კომისიის შესახებ, საქმის გამოსარკვევათ მიღებული იყო ყოველგვარი ზომები. ამავე დროს ჩამოვიდა ცენტრიდან სარევიზიო კომისია, რომლის წევრები ამხ. ს. გაგლოევი და ელბაქიძე, ჩემთან ერთათ გაემგზავრენ ს. ილემში. მოწვეული იყო მთელი სოფლის მცხოვრებთა საერთო კრება. კრებაზე ახსნილი და განმარტებული იყო აგრარული რეფორმის მნიშვნელობა, მიწის კომისიის დანიშნულება და ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგების მიზანი. თანაც ეთხოვა ყველას, ვინც აღმოაჩენს კომისიის რაიმე სიბოროტეს, ეთქვათ. ბოროტ-მოქმედნი დასჯილი იქნებიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიერ.

ცნობების გამორკვევის დროს, ს. ილემში, დაკითხულ იქნენ სათითაოთ, ვისაც რა ბრალდებები მოეპოვებოდათ, მაგრამ ბოროტ-ნამოქმედარი, კომისიის მიერ ჩადენილი სრულებით არ აღმოჩენილა.

ეხლა გადავავლოთ თვალი და ვაცნობოთ მკითხველს, თუ როგორია ს. ილემის მიწის კომისიის წევრთა სოციალური მდგომარეობა, რამდენი ჰქონდა მათ და რამდენი ქცევა მიიღეს ჩამორთმეული ნიწებიდან— ფონდში გადარიცხული. შემადგენლობა კომისიისა შემდეგია: 1) ლადიკო ბიწაძე, ოჯახში არის შვიდი სული, თავისი მიწა ქონდა 2 ნახ. ქცევა, ფონდიდან მიუღია ორი ქცევა; 2) ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, ოჯახში არის 3 სული, თავისი ქონდა სამი ქცევა მე-2 ხარისხის, მიღებული აქვს ფონდიდან ერთი ქცევა; 3) ილია სხილაძე, არის საშუალო მიწის მქონე, ფონდიდან მიწა სრულებით არ მიუღია. მიწის კომისიას მოწვეული ყავდა ერთი წერა-კითხვის მცოდნე პიროვნება, რომლის ოჯახი შესდგება 3 სულისაგან, საკუთარი მიწა ქონდა ერთი ქცევა, ფონდიდან მიიღო 3 ქცევა.

ზემოხსენებულ ცნობებიდან ყველა დაინახავს, რომ ს. ილემის კომისიას თავიანთი თავი საშუალო მიწის მქონეთაც არ გაუხდია. ვერც ერთ მაგალითს და შემთხვევას მოქ. მღივნიშვილი ვერ წამოგვიყენებს, რომ ჩვენ სრულებით ჩამოგვერთვას მიწა ვისმესთვის და არ დაგვეტოვებიოს ნორმა მუშა-გლეხებისათვის და მასთან არ შევხებოდეთ სრულიად, ვისაც ჩამოსართმევი ქონდა და ვინც თავისი მარჯვენით არ ამუშავებდა მიწას.

შორაპნის მაზრაში აგრარული რეფორმა ჩატარდა დამაკმაყოფილებლათ, რაც დამტკიცდა სამაზრო კონფერენციაზე. ასეთ დიდ მუშაობაში შესაძლებელია მოხდეს პატარა დეფექტი მაზრის შორეულ თემებში, მაგრამ ასეთის აღმოსაფხვრელად განყოფილებას ყოველთვის აქვს მიღებული სათანადო ზომები.

შორაპნის მაზრის მიწათ-მოქმედების განყოფილების გამგე მ. კილაძე.

# დეფექტიური ბავშვები

უდიდესი ყურადღება ბავშვების აღზრდას! აი პრინციპი, რომელიც არამც თუ არავითარ დავას არ იწვევს, არამედ ყველასათვის სავალდებულო შეიქნა.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრება განიცდის არაჩვეულებრივ რყევას და ძირითად ცვლილებებს. დუხჭირმა ცხოვრებამ დიდი გავლენა იქონია ნორჩ, ნერვებზე—დაობლებულ და ქუჩის ანაბარად დატოვებულ ბავშვებზე, რომელთა შორის შესამჩნევ ნაწილს შეადგენენ ასე წოდებული დეფექტიური ანუ ზნეობრივად და გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები. ამათი აღზრდა, გონებრივად და მორალურად გასწორება შეადგენს სახელმწიფოებრივ საკითხს.

დასავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით ამერიკაში დიდი ყურადღებაა ამ საკითხზე მიქცეული. იქ არსებობენ მრავალი ბავშთა აღმზრდელი დაწესებულებები, მაგრამ მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს თავის ახალი მეთოდებით პეტროგრადის დეფექტიურ ბავშვთა გამომკვლევ ინსტიტუტს, რომელიც დაარსებულია პსიხო-ნევროლოგიურ აკადემიასთან. ამ ინსტიტუტის შესახებ მოსკოვის „იზვესტია“-ში № 111 მოთავსებულია კ. ლაგონსკის ძლიერ საყურადღებო წერილი.

ინსტიტუტი შექმნა 1918 წელს მძიმე და ბეჯითი შრომით პროფესორმა ა. გრიბოედოვმა, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლე შესწირა ბავშთა დეფექტებთან ბრძოლას. ინსტიტუტის სახლის სამი ზეითა სართული გავსებულია ნორჩ დამნაშავეებით, რომელთა შორის ხედავთ ყველა ასაკის, ყველა კლასის წარმომადგენელ ახალგაზრდებს და აგრეთვე გონებრივათ ჩამორჩენილებს, რომელთა შორის ხშირად შეხვდებით ასე წოდებულ „მონგოლოიდებს“.

მაგრამ ეს სახლი არ არის ციხე, არც მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი კოლონია, არამედ არის სამკურნალო, სადაც დახშულ, ბნელ დაკეტილ ოთახების ნაცვლად სარკესავით ბრწყინვალე ფანჯარები და მუდმივი ღია კარებია, და სადაც მრისხანე დარაჯების ნაცვლად,— ლმობიერი ადამიანური მოქცევა პედაგოგების მხრით რომელთა შორის არიან პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ექიმები და მასწავლებელნი.

ინსტიტუტის მიზანი არის: შეისწავლოს ბავშვების ხასიათი და ნიჭი ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი თვისებები წარმოადგენს სიძნელეს აღზრდის და სწავლის საქმეში და აგრეთვე ბავშვების აღზრდის საქმის გამოკვლევა და შესწავლა. შემდეგი მიზანი ინსტიტუტის არის წმინდა სამოსწავლო: ინსტიტუტი წარმოადგენს კლინიკას იმ სტუდენტ მედიკების და პედაგოგებისათვის, რომელნიც ემზადებიან მომავალში ბავშთა დეფექტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აქ პრაქტიკისათვის მოსიარულე სტუდენტები ისმენენ ლექციებს და იძენენ საჭირო ცნობებს სპეციალ საგნებზე. ამ საგნებში ინსტიტუტში მუშაობენ სტუდენტების აურიცხველი რიცხვი—ათას კაცამდე.

ინსტიტუტის პრაქტიკული მოქმედება გამოიხატება შემდეგში: დაარსებულია ამბულატორია, სადაც წარმოებს დეფექტიური ბავშვების შესწავლა, რომელიც მოყავთ ინსტიტუტში სახალხო სკოლებიდან, საბავშო ბაღებიდან, ოჯახებიდან და მცირეწლოვან დამნაშავეთა საქმეების მწარმოებელ კომისიიდან.

გამოკვლევა სწარმოებს პროფ. ა. გრიბოედოვის დაუშრეტელ ხელმძღვანელობით.

ინსტიტუტს აქვს აგრეთვე კლინიკური განყოფილება, სადაც ხდება გამოკვლევა ორ თვიდან ექვს თვემდინ. აქვე არსებობს პსიხოლოგიური ლაბორატორია და მასთან სათანადო ბიბლიოთეკა.

ბავშვთა შემადგენლობა ინსტიტუტში სულ სხვა და სხვა ნაირია: ვაჟები და ქალები ოთხი წლიდან 16 წლამდე, რომელთაც სხვა და სხვა დეფექტები აქვთ: სულით-ავადმყოფნი და ნერვებ-აშლილნი.

ყველა ბავშვები დანაწილებულია ჯგუფებათ თანახმად მათი ავათმყოფობის და ასაკისა.

ინსტიტუტის მოქმედების წარმოსადგენათ საჭიროა მოყვანილი იყოს ციფრები. წლის განმავლობაში ინსტიტუტში გაიარა 1200 საამბულატორიო ბავშვმა და 300 კლინიკაში. ყველა გამოკვლეულ ბავშვებიდან 49 პროც. არის ჭკუა-გონებით ჩამორჩენილნი, 24 პროც. ნერვებით და სულით ავათმყოფნი და 27 პრ. ზნეობრივად დეფექტიური ბავშვი.

ამ უკანასკნელ დარგიდან ყველაზე უფრო აღსანიშნავი არიან სხვა და სხვა ზნეობრივ დეფექტიური ბავშვები: ნორჩი მკვლელები, პროფესიონალური ქურდები, მძარცველები, ძალდამტანებელნი და შეგნებულად მაწანწალები, ყველა უმეტესად 9— 14 წლის ასაკში.

აი ფედია ვ., ლამაზი შესახედი, მორცხვი ბიჭუკელა, 9 წლის. ხუთი წლიდან ის გამოქცეულია სახლიდან. შვიდჯერ დააბრუნეს სახლში და შვიდჯერვე გამოიქცა.

რაზე?—„სახლში მცემდენ, მაგრავდენ და ბავშმა მშობლების ქრას და „ალერსს“ აჯობინა პეტროგრადის ქუჩებზე ცისქვეშ ხეტიალი და ნორმალურ სკოლის ნაცვლად ქურდებთა სორო.

ამ გვარ „სკოლაში“ ფედიამ შეიმუშავა თავისებური „მსოფლიო მხედველობა“:

— ქურდობა კარგი საქმეა, მაგრამ დიდი სარგებლობა არ მოაქვს. უფრო ხელსაყრელია სახლების გაძარცვა.

ფედია 6 თვეა ინსტიტუტში, ძლიერ მოლბა, დამშვიდდა და ერთხელაც არ უფიქრია ინსტიტუტიდან გაქცევა.

აი ბორია ა., 16 წლის,—ცნობილი თავის სისხლის სამართლის პროცესით გრაფინია ტარნოვსკაიას დისწული,—ბორიამ მოკლა ნაჯახით თავისი დეიდა, ტარნოვსკაიას და, რომელიც ზრდიდა მას.

— როგორ მოკალი? რატომ?

— აი ისე, უცაბედად. სამზარეულოში იყო, მე უკანიდან მივედი, ავიღე ბუხრიდან საპონი, ავენთე და დავკარი თავში. სასეირნოთ არ მიშვებდა.

აი ტანია ფ.—თოთხმეტი წლის პროფესიონალური პროსტიტუტკა, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ხრწნიდენ პეტროგრადის ქუჩებში.

ინსტიტუტში როგორც უმთავრესს საშუალებას და წამალს აძლევენ ბავშვებს მას, რასაც ისინი აქამდის მოკლებულნი იყვნენ: ალერსს, ლმობიერ მოქცევას, მეგობრობას, საბავშვო გასართობებს; ასაზრდოებენ მათ ჭკუა-გონებას შემოქმედებითი შრომით, და ზოგი მათგანი, როგორც ბნელ სარდაფში დამჭკნარი ყვავილები, მზეზე გამოფენილი, სიცოცხლეს იკრეფენ, ცოცხლდებიან და მალე ხდებიან იმნაირივე ბავშვებათ, როგორც სხვა საღი ბავშვები.

უშვერი მოქცევა, დასჯა სავსებით განდევნილია ინსტიტუტიდან.

უდიდესი სასჯელი ის არის, რომ ბავშვს, რომელიც დიდ ხანს არ სწორდება, ჩამოაშორებენ ტოლ ამხანაგებს და დააწვენენ სამკურნალოში, სადაც ცხოვრების პირობები და საზრდო უკეთესია, ვინემ თვით ინსტიტუტში.

პროფ. გრიბოედოვის მოწმობით ბავშვები, ინსტიტუტიდან გამოსვლის შემდეგ უბრუნდებიან ნორმალურ შრომას და ხშირად შედიან უმაღლეს სასწავლებელში და სამუდამოდ და სრულიად სტოვებენ თავიანთ ავზნიან წარსულ ცხოვრებას.

ისეთი სახელი და ნდობა გაითქვა ინსტიტუტმა პეტროგრადის მცხოვრებთა შორის, რომ თითქმის ნახევარი რიცხვი ბავშვებისა მიყვანილია ინსტიტუტში თვით მშობლების მიერ და ზოგიერთი მათგანი თვეობით უცდის თავის რიგს, როდესაც შესაძლებელი შეიქნება მოაქციოს ბავშვი ინსტიტუტში.

ინსტიტუტის მოქმედების ძირითადი პრინციპი არის ვაჟების და ქალების ერთად აღზრდა, რაც სხვა ამ გვარ დაწესებულებაში არსად არ არის განხორციელებული რასაკვირველია, ამასთანავე საწოლი ოთახი განცალკევებულია. თუმცა ამგვარი აღზრდა დეფექტიურ ბავშვებისა ძლიერ სახიფათო საქმეა, მაგრამ ხუთი წლის პრაქტიკამ დაარწმუნა პროფ. გრიბოედოვი, რომ ამგვარ აღზრდას კარგი შედეგები მოყვა.

მეორე პრინციპი: არ არის ძალდატანება, არ არსებობს დასჯა, მუდმივი დაუშრეტელი ზედამხედველობა, შრომაში წვრთნა და ესთეტიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ უკანასკნელ მიზნისთვის თვით ბავშვების ძალ-ღონით კვირაში ერთხელ წარმოდგენებს და კონცერტებს მართავენ და აგრეთვე ინსტიტუტში გამოდის საბავშვო ნახატებიანი ჟურნალი.

ამგვარივე ინსტიტუტი ახლა არსდება მოსკოვში. ძლიერ სასურველია და საჭიროც, რომ ამგვარივე დაწესებულება დაარსებული იყოს ჩვენშიც.

ზ.—ი.

# პროფკავშირებში

ცირკულიარულად.

### ყველა პროფკავშირების საბჭოებს, პროფკავშირთა ცენტრალურ სამმართველოებს, პროფკავშირთა გამგეებს და რწმუნებულთ.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ ცნობა მიიღო ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოს განყოფილების რწმუნებულის საკონფლიქტო განყოფილებისაგან, რომ ზოგიერთი კავშირები აგვიანებენ მიღებულ საჩივრების გადაცემას ამ.-კავ. შრომის კომისარიატის საქართველოში რწმუნებულთან არსებულ საკონფლიქტო კომისიაში, რითაც აძნელებენ მუშებისათვის კუთვნილი ხელფასის გადაწყვეტის საქმეს მათთან ფაქტიურათ ანგარიშის გასწორების უკანასკნელ დღიდან.

გაუწყებთ რა ზემოხსენებულს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო თქვენს ყურადღებას მიაქცევს ამ შეუწყნარებელ გარემოებაზე და წინადადებას გაძლევთ აღარ გააჩეროთ ხოლმე კავშირში მიღებული სადავო ადგილობრივ გადაუჭრელი საქმეები 7 დღეზე მეტ ხანს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომის კომისარიატის რწმუნებულის დადგენილების თანახმად, მუშების ხელფასის გასწორება იწარმოებს მათთვის ფაქტიურათ ანგარიშის გასწორების დღის მიხედვით კი არა, არამედ იმ გადაცდენილ საშუალოთ 7 დღის მიხედვით, რომლითაც დაიჩაგრება მშრომელთა ინტერესები.

თუ კავშირი საჭიროთ მიიჩნევს, საკითხის მორიგებით გადასაწყვეტად, უშუალო მოლაპარაკების წარმოებას იმ ადმინისტრაციასთან, რომელსაც კონფლიქტი შეეხება, ამ შემთხვევაში ასეთი მოლაპარაკება უნდა მოთავდეს არა უგვიანეს ზემოხსენებული ვადისა.

საქარ. პროფ. კავშ. საბჭოს მდივანი ყურულაშვილი,

საქ. პროფ. კავშ. საბჭ. სატარიფო ეკონ. განყ. გამგე ხ. ჯულელი.

**პროფსაბჭოს სატ.-ეკონომ. განყოფილებაში**

**ადგილების განაწილება აგარაკებზე.**

28 მაისს მოხდა პროფსაბჭოს სატარ. ეკონომ. განყოფილების გამგეობის და პასუხისმგებელ მდივანთა თათბირი თათბირმა იმსჯელა ბორჯომ, წაღვერ და აბასთუმან აგარაკების მდგომარეობის შესახებ. აგარაკებზე პროფორგანიზაციებს დათმობილი აქვთ 200 ადგილი 70 პროც. ადგილებისა დაეთმობათ ფიზიკურად მომუშავეებს, გონებრივ მომუშავეთ ეთმობათ 20 პროც. დანარჩენთ კი 10 პროც. ჯანსახკომთან დაარსებულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც აწარმოებს სააგარაკო საქმეებს.

**უმუშევარნი აგარაკებზე.**

პროფსაბჭოს დადგენილებით, მიმდინარე ზაფხულს აგარაკებზე მორიგეობით გაიგზავნებიან უმუშევარი მუშებიც.

**საპირადო წიგნაკები.**

განზრახული საპირადო წიგნაკები დამზღვევ კასის მიერ შემოღებული იქნება ბოროტ-მოქმედების თავიდან აცილების მიზნით. დამზღვევ კასის წევრთ მიეცემად საპირადო წიგნაკები, ფოტოგრაფიულ სურათებით. თათბირმა ეს საკითხი საბოლოოდ დასასკვნელად გადასცა პროფსაბჭოს პრეზიდიუმს.

**დუშეთის პროფბიუროში**

**დუშეთის პროფკავშირის ყრილობა.**

დუშეთის პროფბიურომ 25 მაისს მოიწვია პროფკავშირის გაერთიანებული ყრილობა. ყრილობამ გაარჩია შემდეგი საკითხები: მიმდინარე საქმეები, პროფმუშაობა და დელეგატების არჩევნები საქარ. და ამ. კავკ. პროფკავშირთა ყრილობებზე გასაგზავნად.

**თემაღმასკომების მდგომარეობა.**

პროფბიურომ მიიღო ზომები თემაღმასკომების მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების დროზე დასარიგებლად უახლოეს მომავალში აღმასკომების დავალიანება დაიფარება სავსებით.

**კულტფონდისთვის.**

პროფბიურო აწარმოებს პროცენტულ ანარიცხვის შეგროვებას კულტფონდის სასარგებლოდ. ზოგიერთმა კავშირებმა უკვე საკმაო თანხა შეაგროვეს.

**სანატორია „არაზინდო“-სთვის.**

პროფბიურომ ჩაატარა მთელ მაზრაში ფართე კამპანია მუშათა სანატორია „არაზინდო“-ს სასარგებლოდ. სანატორიის ასაშენებლად მუშებმა გადასდეს თავიანთი ერთი დღის ხელფასი.

**პროფსაბჭოს სამდივნოში**

**ბავშვთა ახალშენი.**

სამდივნომ ამხ. ბაბაჯანოვს დაავალა სასწრაფოდ შეიმუშავოს ხარჯთაღრიცხვა ბავშვთა ახალშენის დასაარსებლად და დასამტკიცებლად წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს.

**სამეცნიერო შრომის ორგანიზაცია.**

სამდივნომ დაამტკიცა სამეცნიერო შრომის ორგანიზაციის ხარჯთ-აღრიცხვა და წინადადება მისცა კულტ-განყოფილებას ამ დაწესებულების დასაარსებლად მოიწვიოს დაინტერესებულ პირთა თათბირი.

**უმუშევართა სასადილოსთვის.**

პროფსაბჭომ შუამდგომლობით მიმართა ქალაქის აღმასკომს, რომ უმუშევართა სასადილოსთვის მან დაუთმოს მადათოვის ქუჩაზე მდებარე შენობა, სადაც დღეს იმყოფება ბავშვთა კოლექტორი, ხოლო ეს უკანასკნელი კი გადაიყვანოს სხვა შენობაში.

**ტეხნიკურ ძალთა შუამდგომლობა.**

ტეხნიკურ ძალთა სექციის ბიურომ პროფსაბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა ტეხნიკურ ძალთა სექციის მომავალ პროფკავშირთა ყრილობაზე დაუთმოს ერთი დელეგატის ადგილი.

**უმუშევართა შესახებ.**

ტეხნიკურ ინჟინერთა უმუშევრებს მიღება სამსახურში მოხდება ძალთა სექციის ცენტრალურ ბიუროს საშუალებით.

**ხის დამუშავებელთა კავშირში**

**საორგანიზაციო განყოფილებაში.**

მაისის საანგარიშო თვეში ხის დამუშავებელთა კავშირის საორგანიზ. განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია მუშათა სანატორია „არაზინდო“-ს კამპანიის ჩატარებას. სანატორიის სასარგებლოდ მოიწყო კვირეულები.

**კოლექტიურ ხელშეკრულების განახლება.**

სატარიფო ეკონ. განყოფილებამ გასულ მაისის თვეში კოლექტიური ხელშეკრულებანი განაახლა შემდეგ დაწესებულებებთან: ხე-ტყის ტრესტთან, გრეხილ ავეჯეულობის ქარხანასთან და სამხედრო ხე-ტყის ქარხანასთან.

**კონფლიქტების მოგვარება.**

მაისის თვეში საკონფლიქტო განყოფილებამ მოაგვარა რამდენიმე კონფლიქტი. უმრავლესობა მათგანი გადაწყდა მუშათა სასარგებლოდ.

**მრეწველობის მდგომარეობა.**

მრეწველობის მდგომარეობა აპრილის თვეში კარგი იყო. მაისის თვეში კი მტკვრის ადიდების გამო მცირეოდენად შეფერხდა ხის მრეწველობის საქმე- ივნისის თვეში მრეწველობა ჩავარდება ისევ ძველ კალაპოტში.

**უმუშევართა მდგომარეობა.**

მაისის განმავლობაში კავშირში უმუშევართა რიცხვი აღწევდა მხოლოდ 28 კაცს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხის დამუშავებელთა შორის უმუშევრობის საკითხი არ არის გამწვავებული.

**შრომის დაცვის განყოფილებაში.**

შრომის დაცვის განყოფილებამ მაისის თვეში მოაგვარა სააგარაკო საქმე მუშების აგარაკზე გაგზავნა კავშირმა დაავალა ადგილკომებს. დაარსებულ იქნა ექიმთა კომისია, რომელიც აღნიშნავს ავადმყოფ მუშებს. მაისის თვეში აგარაკზე უკვე გაიგზავნა მუშათა პირველი რიგი.

**კომუნალურ მეურნეობის კავშირში**

**არტელში მომუშავეთა შესახებ.**

კომუნალურ მეურნეობის კავშირმა დაადგინა: არ დაუშვას არავითარ შემთხვევაში, რომ არტელში პასუხისმგებელი თანამშრომელი იყოს არა მშრომელი ნაწილი. არტელში მომუშავე უნდა შესდგებოდეს პროფკავშირის წევრად და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება დაშვებული იგი სამუშაოდ არტელში.

# საქართველოს აგარაკები

### ვ. ზეკარი.

დასავლეთ საქართველო მეტად მდიდარია მინერალური წყლებით. ბევრი მათგანი ძველიდანვე განთქმულია ადგილობრივ მკვიდრთა შორის და ზიდავს დიდძალ დასნეულებულთ. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი წყაროები არის იმერეთსა და რაჭაში.

**ზეკარის გზა და ბუნება მხარე**

აბასთუმნიდან ქუთაისამდე 91 ვერსია; რომელთაგან 18 ვერსი (ზეკარის უღელტეხილამდე) ძევს ზემო-ქართლში, ხოლო 73 ვერსი ზემო იმერეთში. ე. წ. სამხედრო-ზეკარის გზა სილამაზის მხრივ წარმოადგენს ერთი თვალსაჩინო ადგილს მთელს საქართველოში. აბასთუმნიდან 5 ვერსის დაშორებით გზა მრუდი ხვეულებით მიიმართება ზევით ქედის ფერდობზე, რომელიც შემოსილია თავქოჩორა ტყით, ხოლო მწვერვალიდან თვალწინ იშლება საუცხოვო სანახაობა. შორს—სიღრმეში გაჭიმულია ფართე სივრცეზე აბასთუმნის ტყით შემოსილი ხეობა, რომლის ძირში ვიწრო ვერცხლისფერ ჯაჭვივით მოიკლაკნება აბასთუმნის წყალი ერთი მეორის მიყოლებით ცამდე აღმართულან მთის ქედები. წინა ქედები სცურავენ ტყის მუქ სიმწვანეში, ხოლო იმათ იქით ცისფერ ბურუსში ოდნავ მოსჩანან მთის ჯაჭვის ახალი რგოლები, ხოლო ჰორიზონტის კიდურზე ნაზი ფერები, იხატება უფრო შორეულ მთების ჰაეროვანი მოხაზულობა.

ტყე უღელტეხილისკენ მომავალ გზის გაყოლებით შესდგება ფიჭვისდა ნაძვისაგან, უღელტეხილის ცოტა ქვევით ტყე ჰქრება, და გზა მიიმართება ალპიის სარტყელში, ნახევრად-ტიტველ მთის ფერდობებზე. უღელტეხილთან თვალწინ იშლება ზეკარის მშვენიერი ხეობა (მდ. ქერშევეთის ველი) ზემო ქართლის მხარეზე ალპის სარტყელი მოკლებულია წყლის ჩანჩქერებს და ღარიბია მცენარეულობით. მთის მეორე ფერდობზე იმერეთის მხარეზე ყოველ ფეხის გადადგმაზე, მრუდე თითქმის დაკიდებულ მთის ციცაბოებზე მოსჩქეფს მრავალი ნაკადულების მშვენიერი წყალი. ქენო აყრილი ალპიური მცენარეულობა მწვანე სამოსელით ამკობს მთის ფერდოებს. როდოდენდრების სქელი აყრილი ტევრები გზას გარს ერტყმიან. სხვა და სხვა ფერების და რაგინდ-რა ფერების უთვალავი ყვავილები აძლევს მთის ფერდობს მომხიბვლელ სილამაზეს. ხვეულებით ქვევით დაქანებული გზა ალპიის მინდვრების რაიონიდან ჩადის ჯერ წიწვიანი და შემდეგ ფოთლოვანი ტყეების სარტყელში. აქ ფიჭვი შედარებით ცოტაა, სჭარბობს ნაძვი. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ალაგს მთის მრუდე ფერდოები, რომელნიც ჯერ კიდევ ამ ახლო წარსულში შემოსილი იყო ძლიერი ტყის ტევრებით, დღეს სავსებით გატიტვლებულია, ტყეები დაუნდობლად გაჩეხილია და თმა ხუჭუჭა მწვანე ფერდობის ნაცვლად ჩვენ წინ ამართულია ფუყო, მოსაწყენი ხრიოკები. ბევრ ალაგს მოჭრილი ხეები წაღებულია და ხავსმოკიდებული, ნახევრად დამპალი ჰყრია დიდი რაოდენობით უპატრონოდ ქედის ფერდობზე, რომელიც წააგავს მოკლულ მეომართა გვამებით დაფარულ ბრძოლის ველსა. ზეკარის ხეობა მეტად მხატვრული სანახავია. ხეობას თავს დასცქერიან ვერტიკალურად ცაში აღმართული მაღალი მთები. მათი ზღაპრულად დაღეჭილი და გამახურული მწვერვალები ამაყად შეჭრილან ცის მუქ სილაჟვარდეში, ხოლო ძირს, შორეულ სიღრმეში, ხეობის ფსკერზე აურზაურით მოჩქეფს ქაფმორეული მთის პატარა მდინარე. გზა მრუდი ხვეულით მიქანაობს ქვევით — მდინარისკენ უღელტეხილიდან 18 ვერსით დაშორებით (აბასთუმნიდან 36-თ) ქერშევეთის წყალი. დიდ სიმაღლიდან ძირს ჩამოვარდნილი ქერშევეთის წყალი იქცევა ულამაზეს წყალვარდნილად. რომლისთვისაც რუსებს „თავდავიწყების წყალვარდნილი“ დაურქმევიათ.

**ზეკარის მინერალური წყლები.**

ზეკარის უღელტეხილიდან 27 ვერსზე, 4 ვერსით დაშორებით, ვიდრე სოფელ ზეკარამდე თითქმის გზის პირად მდებარეობენ ძველადგანვე სახელ-განთქმული ზეკარის გოგირდიანი წყაროები. წყაროები გამოდიან ხეობის ფერდობზე იმ ალაგს, რომელიც „აბანოს ღელის“ სახელით არის ცნობილი. წყაროები თბილია. მისი ტემპერატურა უდრის 34 გრადუსს ცელსის. ქიმიკოს სტრუვეს მიერ გაკეთებული ანალიზი გვაჩვენებს, რომ ამ წყაროების 1000 წყლის ნაწილში კალის ჟანგი არის—0,0480, კირი — 0,0070, მაგნია— 0,0285, გოგირდის ჟანგი 0,0157, ქლორის კი ნიშნებია. ზეკარის წყაროებთან აშენებულია აბანოს შენობა, რომელშიდაც 5 ცემენტის ვანაა. წყალი ჯერ პირველ ვანაში შედის, აქედან მეორეში, შემდეგ მესამეში და ასე მიყოლებით. ამის გამო, პირველ ნომერში წყალს უფრო მაღალი ტემპერატურა აქვს, ვიდრე დანარჩენში. აბანოს შენობა ორსართულიანია, ქვით ნაგები—ქვედა სართულში მოთავსებულია საბანაო ნომრები, ზედა ხისფიცრულ სახლში ბინა მოსულ სტუმრებისათვის. ნომრების რაოდენობა ამ სახლში 10 ია. ამ შენობის გარდა არის სხვა შენობებიც მსუბუქ ავადმყოფების დასაბინავებლად. რასაკვირველია, ნომრები მოკლებულია ყოველგვარ რიგიან მოწყობილობას და ავეჯეულობას მაგრამ, მიუხედავად მოუწყობლობისა, ზეკარის აბანოებს საკმაო მრავალი სნეული სტუმარი ჰყავს, განსაკუთრებით ქუთაისიდან. რაც შეეხება სურსათ-სანოვაგის საქმეს, სეზონის განმავლობაში მოსახერხებელია თავი გაიკვეთო, რადგან აქ არის პურის საცხობი თორნე და დუქანი, სადაც სადა საჭმელები მზადდება. ზეკარის გოგირდის წყაროდან ქუთაისამდე 47 ვერსია და სწარმოებს ხშირი მიმოსვლა.

# საკურორტო სამმართველოში

**შეთანხმება მიწად-მოქმედ. სახ. კომისარიატთან.**

ს. ს. ს. რ. ცენ. აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს ა. | წ. 3 თებერვლის დეკრეტით ტაბაწყურის ტბა, სათიბი და საძოვარი ადგილები, როგორც ბორჯომ-აბასთუმნის სამთო-სასანიტარო დაცვის რაიონში მდებარე ადგილები, გადადის საკურორტო სამმართველოს უწყებაში.

ყველა ხელშეკრულებანი და დადებული პირობები მიწ. სახ. კომ. მიერ კერძო პირებთან, თუ საზოგადო დაწესებულებებთან ხსენებულ ადგილების შესახებ, ძალაში რჩება და შესრულება ევალება საკურორტო სამმართველოს.

**წაღვერის ბაღ-ბოსტანი.**

მეტყევეთა ბაღ-ბოსტანი წაღვერში შეთანხმებით ძალით გადავიდა საკურორტო-სამმართველოს განკარგულებაში.

**ციხის ჯვარის სარძევე ფერმა.**

ციხის-ჯვარის სარძევე—ფერმის ექსპლოატაციის საკითხის მოსაგვარებლად შესდგა განსაკუთრებული კომისია საკურორტო სამმართველოს და მიწ. სახ. კომ. წარმომადგენლებიდან.

**ვაგონები ბორჯომ-აბასთუმანში გაგზავნილ ავადმყოფებისათვის.**

ა. | კ. რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით, თბილისის მატარებლების №№ 19 და 20 ნახევარი ვაგონი და ბათომის № 3 ვაგონის 2 წილი გამოყოფილია მხოლოდ იმ ავადმყოფებისთვის, რომელნიც საკურორტო სამმართველოს მიერ გაგზავნილი არიან ამ ზაფხულის სეზონში ბორჯომ-აბასთუმნის კურორტებზე.

აგრეთვე ავადმყოფთა რაოდენობის მიხედვით განზრახულია დამატებითი მიმოსვლა №№ 17 და 18 მატარებლების თბილისიდან ბორჯომამდე. მატარებელი თბილისიდან გავა დილის 7 საათზე 10 წუთზე და ბორჯომში იქნება 12 საათსა და 12 წუთზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო

## „ბაქოს დახვრეტილ 26 კომისარის ოჯახების დამხმარე კომისია“,

სადაც თავი მოიყრება აღნიშნულ ოჯახებისათვის ყოველგვარ დახმარებას. სწორი აღრიცხვისათვის სთხოვენ ყველას აცნობონ კომისიას თავისი მისამართი.

ამიერ-კავკასიის ცენტრაღმასკომის მდივანი: ტალიბლი.

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისათვის მოწვეულია

## სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამახასიათებელი მასალები.

# ბანდიტების მოკვლა ბათომში

**ბანდიტების ჩამოსვლა ბათომში.**

ბათომის საგანგებო კომისიის მიერ მიღებულ ცნობებით ბანდის მეთაურები 9 კაცი მივიდნენ ქობაში ზოიძის სახლში. აქ მათ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მოაწყვეს დიდი ქეიფი, რის შემდეგ დაწვნენ ღამის გასათევად დაახლოვებით დილის ოთხის ნახევარზე; 31 მაისს იქ მივიდნენ საგანგებო კომისიის წარმომადგენლები, ალყა შემოარტყეს სახლს და წინადადება მისცეს ეყარათ იარაღი. ბანდიტებმა შექმნეს ხმაურობა სახლში და ასტეხეს სროლა ფანჯრებიდან.

**შეტაკება.**

საგანგებო კომისიის აგენტებმა უპასუხეს სროლითვე, რასაც ბანდიტების მიერ ხელის ყუმბარების გადაგდება მოჰყვა. სროლა გაგრძელდა 3 ნახევარ საათს. ამ ხნის განმავლობაში ყაჩაღები უწევდენ სასტიკ წინააღმდეგობას. ბოლოს მათ წინადადებით მიმართეს დაეყარათ იარაღი, რაზედაც ზოგიერთი ბანდიტები დასთანხმდენ ხელის აწევით. როდესაც საგანგებო კომისიის აგენტები შევიდენ ოთახში, სამი ყაჩაღი უკვე მკვდარი იყო.

სახელდობრ: მანწკავა ვლასა, ცნობილი ბანდიტი საქართველოში, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხანია დასდევს, ხირაძე ისაკი და ანდღულაძე არტემ.

**შეპყრობილი ბანდიტები.**

შეპყრობილი არიან შემდეგი ბანდიტები: ნიკოლაიშვილი ფრამიტონ, რომელიც წინად გაიქცა საგანგებო კომისიიდან, ნიკოლაიშვილი ვენიამინ, მევრელაძე ფილიპე, გოგიტიძე ხუსეინ, გუგუნავა ჭამუდ და ჟორდანია მამუდ.

შეპყრობილი ბანდიტები გაიგზავნენ საგანგებო კომისიაში.

**ჩვენი დანაკლისი.**

სროლის დროს მოკლულ იქნა საგ. კომისიის დივიზიონის ორი თანამშრომელი ამხ. გეგეჭკორი და ოგანეზოვი.

**რისთვის ჩამოვიდნენ?**

დახოცილ და შეპყრობილ ბანდიტებს კავშირი ჰქონდათ მენშევიკებთან და გურიაში ამზადებდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. ბანდების მეთაურთა ბათომში ჩამოსვლის მიზანი იყო იარაღის შეძენა და ახალი თავდასხმების მოწყობა.

მოკლული მანწკავა ყოფილი აფიცერია. შეპყრობილი ბანდიტები მენშევიკური ყოფილი გვარდიელებია. შეპყრობილ ბანდიტებს უნახეს ბომბები.

**ვინ იყვნენ ბანდიტები.**

დახოცილ და შეპყრობილ ბანდიტებს მძიმე ბრალდებები ედებათ. სარწმუნო ცნობებით, მანწკავას მოუხდენია რამდენიმე ათეული მკვლელობა და ამდენივე თავდასხმა. დანარჩენ ბანდიტებს ბრალად ედებათ მატარებლების, სახლების და კერძო პირების გაძარცვა.

გურიაში ყაჩაღობის დროს მანწკავას კავშირი ჰქონდა მენშევიკებთან, რომლებიც მას იყენებდენ „პოლიტიკურ“ ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ. მენშევიკები დიდ იმედებს ამყარებდენ მანწკავაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა მოკლული და შეპყრობილი ბანდიტები ახალგაზრდებია, წლოვანებით 27 ვიდრე 38 წლ.

ბ—ლი.

# ქრონიკა

**სახ. კომისართა საბჭოში.**

— **ეკონომიურ საქმეთა წარმომადგენლობა მოსკოვში.** სახ. კომისართა საბჭომ დაარსა კომისია ამხ. ქოქიკაშვილის, ბიბინეიშვილის და ავაქვის შემადგენლობით. კომისიას მიენდო გასწიოს საქართველოს ეკონომიურ საქმეებს წარმომადგენლობა მოსკოვში.

**სახალხო სამკითხველო.** კომისართა საბჭომ დაამტკიცა სახალხო სამკითხველოს დაარსების პროექტი. წესდების გამომუშავება დაევალა სახ. განათლების კომისარიატს.

— **ინვალიდების კავშირის გაუქმება.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გაუქმებულ იქნეს ომში დასახიჩრებულთა ინვალიდების კავშირი.

**ქალაქის აღმასკომში**

— **მუშათა სახლის შეკეთება.** მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით კომუნალურ განყოფილებას გადაეცა 100 მილიონი მანეთი [illegible] საქმის მუშების სახლის შესაკეთებლად.

— **ჯამაგირების გადაგზავნა.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა მაზრებში საექიმო პერსონალისათვის ჯამაგირების გადაგზავნა ხდებოდეს ფოსტის საშუალებით. დაევალა ამხ. ვაწაძეს ამ საქმის სათანადოთ მოგვარება.

— **ქუჩების სახელების შეცვლა.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა ზოგიერთ ქუჩების სახელების გადარქმევის შესახებ. სათ. განყოფილებას გადაეცა 2,588 მან. ოქროთი ქუჩებისათვის ახალი წარწერებისა და ნომრების დასამზადებლად. სახლის პატრონებმა წარწერები უნდა შეიძინონ 80 კაპ.

— **ქალაქის ახალი რუქა.** ამავე პრეზიდიუმის დადგენილებით ქალაქის ახალი რუქის გამოსაცემათ გადაიდო 2,700 მან. ოქროთი და წინადადება მიეცა სტატ. განყოფილებას შეადგინოს და დაამზადოს 1000 ცალი ქალაქის ახალი რუქა.

**განათლების კომისარიატში**

— **დახმარება ილია ნაკაშიძის ოჯახს.** განათლების სახალხო კომისარიატმა განსვენებულ ილია ნაკაშიძის ოჯახს დახმარების სახით გადასცა 100 მილიონი მან.

— **სარეპერტუარო კომისია.** მოხდა განათლების კომისარიატთან არსებული სარეპერტუარო კომისიის რეორგანიზაცია. არჩეული იქნა ახალი სარეპერტუარო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ს. შავიშვილი, წევრებათ დარახველიძისა, შალვა დადიანი და ს. ქურიძე. (ეული)

— **სალიტერატურო და გამომცემლობის მთავარი მმართველობა.** განათლების კომისარიატთან არსებულ სალიტერატურო და გამომცემლობის მთავარ მმართველობას განყოფილებები აქვს ქუთაისში, ბათომში და სოხუმში. აღნიშნულ მმართველობისა და მისი განყოფილების ნებართვის გარეშე აკრძალულია ყოველგვარი გამომცემლობის გავრცელება.

**სხვა და სხვა.**

— **საერთო საქალაქო გადასახადი.** მთელ საქართველოში 22 მაისამდე სახალხო ბანკში შემოვიდა საქალაქო გადასახადისაგან 77,085 მილ. მან. მარტო ტფილისიდან შემოვიდა 60 მილიარდი მან.

— **ომის ინვალიდთა კვირეულის კამპანია.** ოზურგეთის მაზრის აღმასკომთან არსებულ ომის ინვალიდთა კვირეულის მომწყობ კომისიის თავმჯდომარის ამხ. გურგენიძის მიერ წარმოდგენილი იქნა ცენტრალურ კომისიის სალაროში ქ. ოზურგეთში შეგროვილი ხუთასი მილიონი რვაას ხუთი ათასი მანეთი (500.805.000) ფულად. გარდა ამისა დარჩენილია ასაღები კიდევ დაწესებულებებიდან ორმოცდა ერთი მილიონი ოთხასი ათასი მანეთი (41.400.000 მ.)

**შემთხვევები.**

**მკვლელობა.**

— მე 11 სამილიციო რაიონიდან 2 ვერსის მანძილზე ლოტკინის ქუჩის გადაღმა ხევის ძირში აღმოჩენილ იქნა მკვდარი მოქალაქე, რომელსაც აქვს წარწერა მარცხენა ხელზე „ხუჯა ანანაური“ ტანზე სრულიად გახდილია, შეხედულებით თათარი უნდა იყვეს, დახლოვებით 25 წლისა.

**ვაგონის გატეხა.**

— რკინის გზის სადგურზე ვიღაც ბოროტ-მოქმედებს გაუტეხიათ ვაგონი, საიდანაც წაუღიათ მ | გ ინსპექციის სხვა და სხვა ნივთეულობა.

**ტყავეულობის მაღაზიის გატეხა.**

— ბაზრის ქ. № 16 ბოროტ-მოქმედებმა გასტეხეს ლევან ჩეტოშვილის ტყავის მაღაზია, საიდანაც გატანილია 1 მილიარდის სხვა და სხვა ტყავეულობა. მაღაზიის გამტეხნი აღმოჩნდენ კირილე თეყორია, ამბროსი ლებანიძე, და ხარიტონ ლებანიძე, რომელნიც მილიციის მიერ შეპყრობილნი არიან.

# ხელოვნება

**მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა.**

მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის დათვალიერებამ ჩვენ დაგვანახა თუ რა შეუძლია დაუღალავ და მშრომელ ხელოვანის ენერგიას.

სულ ერთი წლის ისტორია აქვს ხსენებულ სტუდიას და ამ ხნის განმავლობაში მას დიდი მუშაობა უწარმოებია.

ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი, რაც ჩვენ ვიგრძენით მისი დათვალიერებით, არის ეროვნული ფერების შეგრძნება და მისი გაცოცხლების ცდა.

ვინც იცნობს მხატვარ მოსე თოი-

# მუშათა ცხოვრება

## მუშათა ფაკულტეტი.

ქართული მუშათა ფაკულტეტი, როგორც სხვა მუშფაკები, წარმატებით მუშაობს, რასაც ამტკიცებს დღევანდელი მისი მდგომარეობა. ჩვეულებრივი მეცადინეობის გარდა, ჩვენ მუშფაკში სწარმოებს აგრეთვე სხვა და სხვა გვარი კულტურული მუშაობაც, რაც გამოიხატება სტუდკომის მიერ, სხვა და სხვა კულტწრეების დაარსებაში, როგორიც არის მაგ.: 1) სალიტერატურო წრე, რომელმაც დღემდის გამოსცა ხელთნაწერი ჟურნალი, (სამი ნომერი); 2) სამხატვრო და მომღერალთა წრე, რომელებმაც საკუთარი ძალებით დასდგეს ორი საღამო, სადაც ბევრი გარეშე პირებიც დაესწრენ. მე-3-ე წრე არის საექსკურსიო წრე, რომელმაც მოაწყო ორი ფართე ექსკურსია,—ერთი რკინის გზის მთავარ სახელოსნოების დასათვალიერებლად და მეორე—ბოტანიკურ ბაღში აქაურ მცენარეთა სანახავად. ორთავე ექსკურსიებს ხელმძღვანელობდნენ სპეცი პედაგოგები, რომლებიც დაწვრილებით გვიხსნიდნენ ყველა იმას, რაც არ ვიცოდით ან და იწვევდა ჩვენს გაკვირვებას. ამის გარდა საჭიროა, აღინიშნოს ისიც რომ მუშფაკის მსმენელთა შემადგენლობის გასაჯანსაღებლად ჩატარებული იქნა მსმენელთა გაწმენდა, რასაც შედეგად მოყვა 39 მსმენელის გამორიცხვა, როგორც არა მშრომელი ელემენტების; უკანასკნელი გაფრთხილება გამოეცხადა 36 მსმენელს არა წესიერ სწავლისათვის. საერთოდ, მუშფაკის გაწმენდამ კარგი შედეგები მოიტანა, და არის იმედი, რომ შემდეგისათვის თვით ის ორგანიზაციები, რომელნიც გზავნიან მსმენელებს მუშფაკებში, უფრო სერიოზულად მოიქცევიან, რათა წლევანდელი შეცდომები კვლავ აღარ განმეორდეს და მუშფაკებში თავი არ მოიყარონ არა საიმედო ელემენტებმა. მუშფაკის ცხოვრებაში ერთს დამაღონებელს მოვლენას აქვს ადგილი, რასაც საჭიროა ჩქარა მოეღოს ბოლო. ეს მოვლენა არის ის, რომ მსმენელთა შორის არიან საკმაო რიცხვი უმუშევრებისა, რომელთა მატერიალური მდგომარეობა აუტანელია. კარგს იზამდა თბილისის შრომის ბირჟა, რომ დროზედ მათ სამუშაოს აღმოუჩენდეს, თორემ მშიერი კუჭით მეცნიერების შესწავლა შეუძლებელია და შრომა და ხარჯი უნაყოფო.

გ. ლაფანაშვილი.

## აუტანელი მდგომარეობა

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

დუნდუკ-კორსაკოვის ქუჩაზე № 2 მოთავსებულია მოქ. ნორაკიძის სახლი, რომელიც ამ ჟამად ეკუთვნის ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკს. ამ სახლში ვცხოვრობთ მხოლოდ და მხოლოდ მუშა მოსამსახურეები. ეს სახლი თითქმის დანგრეულია: წინა კედელი შუაში გახსნილია, სახურავი მას გადაგლეჯილი აქვს და ამის გამო ზედა სართულის სამ ოთახში არავინ არ სცხოვრობს. ქვედა სართულის ოთახებში კი მყოფი მუშა მოსამსახურენი განიცდიან უკიდურეს მდგომარეობას, ვინაიდან წვიმის დროს ბინაში ჩამოდის წყალი, რის გამო აქ სდგას საშინელი სინესტე და ჯანმრთელობისათვის მავნებელი დამპალი ჰაერი.

სახლის შეკეთებას ვერ ვახერხებთ ჩვენ, მუშა-მოსამსახურენი ვინაიდან ხელფასს ვიღებთ დაბალ კატეგორიით, მასთან არ გვაქვს საშვალება სხვაგან დავიქირავოთ ბინა. უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ჩვენს კრიტიკულ მდგომარეობას და დაინიშნოს ტეხნიკური კომისია, რომელსაც დაევალოს სახლის შემოწმება და მისი უპატრონობის დადასტურება, ვინაიდან პატრონს არ აქვს სურვილი სახლის შეკეთების, პირიქით იგი ხელს უწყობს მისი დანგრევას. საჭიროა ეს სახლი პატრონს ჩამოერთვას, გადაეცეს აღმასკომს და აქნას გაკეთებული კაპიტალური რემონტი მომავალი საფრთხის ასაცილებლად.

ერთი მდგმურთაგანი მუშა ნაფაცრული.

## ფოსტელთა შორის

დაწესებულებასა და ქარხნებში ადგილკომები დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მუშა მოსამსახურეებს მისცენ ცოდნა-განათლება, მიაწოდონ მათ სულიერი საზრდო.

ამ სფეროში უდიდეს მუშაობას აწარმოებს სახალხო კავშირი. დღეს ფოსტა-ტელეგრაფში არსებობს ქართული და რუსული დრამატიული წრე, გუნდი, ორკესტრი და სხ., სადაც მონაწილეობას ღებულობენ ამ უწყების მუშა-მოსამსახურეები.

ყოველ ორშაბათობით სისტემატიურად იმართება წარმოდგენები, კილო „სოლეის" შენობაში. რასაც დიდი ხალისით და სიხარულით ეკიდებიან მუშები. აგრეთვე წარმოდგენებს ყოველთვის თან ერთვის მოხსენებები სხვა და სხვა საკითხებზე. დამსწრეთა უმრავლესობა მუშებია.

ორშაბათს, მაისის 21, დადგმული იქნა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" ამხ. სულთანიშვილის რეჟისორობით. მონაწილეობას ღებულობდნენ ამხ. სულთანიშვილი, იანქოშვილი, კოშკაძე, ნასიძე, კაჭკაჭაშვილის ქალი და სხვები.

დადგმას არაფერი უშავდა, მხოლოდ როლები არ იყო განაწილებული შესაფერისად. შესრულების მხრით კარგი იყვნენ მათე იანქოშვილი და სულთანიშვილი. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

გრაფი.

## მუშათა ქრონიკა

— **მუშკორების კრება.** ა. წ. 3 ივნისს ჩვენი გაზეთის რედაქციის ბინაზე შესდგა გაზეთ „კომუნისტი"-ს თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება, რომელზედაც საჯაროდ წაკითხულ გარჩეულ და შესწორებულ იქნა ჩვენი მუშკორების წერილები და ლექსები. ამის შემდეგ ამხ. კორესპონდენტებს მიეცათ თემები სხვადასხვა საგანზე სახლში დასამუშავებლად.

### შრომის ექსპლოატატორები

შრომის ინსპექციამ ამ დღეებში ოქმი შეუყენა შემდეგ ვაჭარ-ექსპლოატატორებს:

— **ფოლადის ჩამოსასხმის სახელოსნოს პატრონს კარახანოვს** (სამაშის მოედანი № 1) იმის გამო, რომ მას 4 მუშა არ ჰყოლია დაზღვეული; მათ არც საანგარიშო წიგნაკი აღმოუჩნდათ. სახელოსნოში არ იყო შინაგანი მოწესრიგების წესები და წიგნი შრომის ინსპექტორის შენიშვნებისთვის.

— **ღვინის საწყობის პატრონს დავით აჯიმამუდოვს** (პურის მოედანი № 5) რომელიც 12 საათს ამუშავებდა მცირე წლოვანს ლეონ მარტიროსოვს. ეს უკანასკნელი არც დაზღვეული იყო და მას არც საანგარიშო წიგნაკი აღმოაჩნდა.

— **სასადილოს პატრონს პატარბლიშვილს ნიკოლოზს**, (19 თებერვლის ქ. № 71) იმის გამო, რომ ის 14—15 საათს ამუშავებდა მოზარდს არსენ სხირტლაძეს, რომელიც არც დაზღვეული ჰყოლია და რომელსაც არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონია. სასადილოში არ აღმოჩნდა წიგნი შრომის ინსპექტორის შენიშვნებისათვის.

---

ძის შემოქმედებას—მისთვის ეს მოვლენა საკვირველი არ დარჩება.

მოსე თოიძე წარმომადგენელია ჩვენი ძველი მხატვრების ერთი რიგის, რომლის შემოქმედებაში ძველიდან გრჩება და განსაკუთრებული იერით ანათებს საქართველოს ჰაეროვანი ფერების თავისებური განცდა და სიცოცხლე.

მას 30 წელზე მეტი წლის ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველი ახალი მიღწევით ამტკიცებს ამას.

თოიძეს ახასიათებს აგრეთვე იშვიათი ენერგია და შემოქმედების სტიქიურობა.

იგი ყოველთვის ახალგაზრდული გატაცებით აშკარავებს მასში ჩანერგილ დიდ ფანტაზიას და დაუღლეველ შთაგონებას.

თოიძის ყოველი ხაზმოსმით თქვენ გრძნობთ საქართველოს.

სასიხარულოა მისი სტუდიის ამ მიმართულებით წარმართვა.

რასაკვირველია, ჯერ შეუძლებელია სტუდიის ახალგაზრდა მოწაფეებზე გარკვეული და გადაჭრილი სიტყვის თქმა—აქ იგრძნობთ დიდ ქაოსს, ძიებას, დასრულებულ სახეს კი არა.

მაგრამ ასეთ მოთხოვნილებას ახალგაზრდა მხატვრებს ჯერ ვერ წარვუდგენთ. ჯერ ბევრი საფეხურები აქვს გასავლელი ყოველ მათგანს თავისთავის საპოვნელად—ეს შესაძლებელი იქნება მათთვის მაშინ, როცა მიაღწევენ სათანადო სიმაღლეს—როგორც ცოდნის ისე გამოცდილების მიღებით.

გამოფენაზე წარმოდგენილია მოწაფეების ნახატებს გარდა თვით მოსე თოიძის და მისი შვილის ირაკლის ნახატები.

უნდა ითქვას, რომ ხსენებულ პირთა სურათებს—ერთგვარი დისონანსი შეაქვს საერთო შთაბეჭდილების მთლიანობაში, რადგან დასრულებულ ხელოვანთა ნაწარმოებნი ჩრდილავენ ახალგაზრდა მოწაფეებს და ანელებენ ინტერესს მათ მიმართ.

გამოფენის დარბაზში შესვლისთანავე ჩვენ დატყვევებული დავრჩით ორი კედლის სილამაზით, რომელიც ამოიჩნდა მოსე და ირაკლი თოიძეების.

ირაკლი თოიძეს ჩვენ ამ გამოფენამდეც ვიცნობდით და გვქონდა მასზე სათანადო წარმოდგენა. იგი წლოვანობით თუმცა ახალგაზრდაა, მაგრამ მხატვრობაში საკმაოთ დავაჟკაცებული.

მისი ნიჭის და სტიქიის მთავარი რკალი, მან დიდი სიძლიერით დაამტკიცა და გამოააშკარავა.

შეხამებაში როგორც შეუდარებელი ვირტუოზი ფერების, იგი იძლევა სიცოცხლიან და ენერგიულ სახეებს და განირჩევა განსაკუთრებული თავისებურობით საქართველოს ყველა ახალგაზრდა მხატვრებ შორის.

გამოფენაზე წარმოდგენილი სურათი: „რევოლიუცია" ერთი დიდი საბუთია ამ ახალგაზრდა მხატვრის ბრწყინვალე მომავლის.

მხოლოდ საჭიროა გაეხსნას გზა ამ ნიჭიერ ახალგაზრდას, მიეცეს მას საშუალება განვლოს ყველა ის საფეხურები, რომლებიც საჭიროა მისი დასრულებისათვის და სიძლიერისათვის.

ირაკლი თოიძე ღირსია მთავრობის და საზოგადოების ყურადღების.

გ.

— **თეატრი მუშების ბავშვებისათვის.** 6 ივნისს ავჭალის აუდიტორიის დარბაზში გაიხსნება თეატრი მუშების ბავშვებისათვის. თეატრის მიზანია კულტურულ-განმანათლებელ და პროლეტარული ხელოვნების ნიადაგზე ახალთაობის აღზრდა.

— **საოპერო თეატრი** დღეს, სახ. ოპერის თეატრში დაიწყება მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „ყვავილების არშია".

— **საღამო ავადმყოფ პოეტის სანდრო ცირეკიძის სასარგებლოთ.** კვირას, 10 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში ახალი მწერლობის კავშირის თაოსნობით გაიმართება დიდი საღამო ავადმყოფ პოეტის სანდრო ცირეკიძის სასარგებლოთ. ცირეკიძე ამ ჟამათ მოთავსებულია არამიანცის სახელობის საავადმყოფოში.

# კორესპონდენციები

## ქ. ფ ო თ ი.

მაისის პირველ რიცხვებში ქალ. ფოთში მოხდა დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის" გმირი ქალის ვარდუას გასამართლება. ბრალმდებელი და დამცველი ჩამოვიდნენ ქალ. ქუთაისიდან. ბრალმდებლის როლში გამოვიდა მოქ. კაპანელი, ხოლო დამცველად ნაფიცი ვექილი ლოლაძე. ვინაიდან გასამართლების წინა დღეებში ადგილობრივ კინოში ნაჩვენები იყო სურამის ციხის სურათი, რამაც ფოთის საზოგადოება დიდათ დააინტერესა, ამიტომ საზოგადოება ვარდუას გასამართლებაშიც არა ნაკლებ დაინტერესებული იყო, და ამ დღეს სახელმწიფო თეატრის შენობა სავსე იყო ხალხით. დიდი კამათის შემდეგ, რომელმაც ღამის 2 საათამდის გასტანა, სასამართლოს მიერ ვარდუა გამართლებულ იქნა.

ერთი კვირის შემდეგ ასეთივე გასამართლება ვარდუასი მოწყობილი იქნა ადგილობრივ მასწავლებლების მიერ ტეხნიკუმის შენობაში, ამანაც დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ბრალმდებლის და დამცველის შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღო თვით საზოგადოებამაც. ვარდუა აქაც გამართლებულ იქნა.

ა. მინიშვილი.

## შორაპნის მაზრა.

ბრიტანეთის მთავრობის თავხედური ნოტის შინაარსი ელვის სისწრაფით მოედო შორაპნის მაზრასაც. თითქმის ყველა კუთხეში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები. ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ როგორ უყურებენ მაზრის გლეხობა და ჭიათურის მუშები საბჭოთა ხელისუფლებას. მოეწყო კრებები ჯერ მაზრაში, შემდეგ რაიონებში და თემებში. მიტინგზე ხალხი ერთხმად გამოსთქვამდა თავის გულისწყრომას ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ და აცხადებდა თავის მზად ყოფნას რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. გამოქონდათ სათანადო რეზოლიუციები და გზავნიდენ დანიშნულებისამებრ.

დიდი დემონსტრაცია გამართეს 20 მაისს ჭიათურის მუშებმა. ორატორებს ხშირად აწყვეტინებდა სიტყვას მუშების ხმის გრიალი:

ძირს ანტანტა! ძირს ბურჟუაზია! ძირს ომი!

გაუმარჯოს პროლეტარიატს და მის დიქტატურას!

გაუმარჯოს ბრძოლას ომის წინააღმდეგ!

ტრიბუნას ამშვენებდა წითელი ფლაგები, ბაირაღები და გირლიანდები, განსაკუთრებით კი დიდი სურათი ამხანაგი ვოროვსკისა, ჩასმული შავ არშიაში და მორთული ვარდებით. ორატორებმა გააცნეს კრებას ინგლისის ულტიმატუმის შინაარსი, საბჭოთა მთავრობის პასუხი და მომავალი პერსპექტივები, აგრეთვე ამხ. ვოროვსკის ბიოგრაფია, მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა, როგორც წარსულში, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამხ. ვოროვსკის გვარის ხსენებაზე წითელი ბაირაღები მუშების მიერ ძირს ეშვებოდა.

ჭიათურის მუშები მზად არიან ერთ ხელში ჩაქუჩით, მეორეში კი თოფით შეებრძოლონ ანტანტის შავს განზრახვებს.

ჭიათურის მუშებს გვერდით უდგანან შორაპნის და ზესტაფონის სადგურების რკინის გზელები, შრომის ქარხნის მუშები, ყველა საბჭოთა დაწესებულების მუშა—მოსამსახურენი და მაზრის მთელი გლეხობა. მაზრის მთელი მშრომელი მასსა აღშფოთებულია ევროპის ბურჟუაზიის თავხედური და ვერაგული მოქმედებით და მედგრად დგას საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

მენშევიკები ხედავენ ხალხის ასეთ განწყობილებას, უფრო იკუმშებიან და სოროში მიძვრებიან.

ანქანი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ულრმესი მადლობა გადაუხადო სანიტარულ მუშაკთა კავშირის გამგეობას, რომელმაც არს. ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებათ თავის წევრებს შორის შეაგროვა 12 მილიონი მანეთი.

ს. კ. პ. ც. კ. რწმუნებული არს. ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებათ შემოწირულებათა შესაგროვებლათ.

ი. ვაინერი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება

**ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. 1923 წ. ივნისის 1.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გადიდებულ იქნეს ამ ჟამად მოქმედი სახელმწიფო სალერბო გადასახადთა წესდების მე-3 მუხ. აღნიშნული უბრალო სალერბო გადასახადის რაოდენობა და დაწესებულ იქნეს: 10.000 მან. მაგიერ—40,000 მან.; 20, 00 მან. მაგიერ—60 000 მან.; 100.000 მაგიერ—3 0.000 მან. და 20 .00 მან. მაგიერ—500.000 მან. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

2. ამ ჟამად მოქმედი სახელმწიფო სალერბო გადასახადის წესდების მე-15 მუხლს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შენიშვნა: რაოდენობა გადასახდევინებელი თანხისა განისაზღვრება ჩერვონცებად იმ დღის კურსის მიხედვით, როდესაც დარღვეულ იქნა სახელმწიფო სალერბო გადასახადის წესდება და შემდეგ ეს თანხა გადატანილ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე იმ დღის კურსის მიხედვით, როდესაც გამოაშკარავდა დარღვევა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თალიბლი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

— ყველა კომუნისტებს, რომლებიც 1 მაისისათვის გაგზავნილნი იყვნენ ტფილისის მაზრის რაიონებში, წინადადება ეძლევათ, წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში სამაისო კამპანიის ჩატარების შესახებ ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში, სამი დღის განმავლობაში.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ს. დალნაია.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. გიორგი ვარსმანიშვილს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ტფილისის კომიტეტის სამდივნოში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-IV-ე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცნობებს მე-IV-ე რაიონის პარტიული სკოლის მსმენელებს, რომ მეცადინეობა სკოლაში დროებით შეწყვეტილია, რადგანაც პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან გაიარონ 96 საათის სამწყობრო კურსი საგანგებო დანიშნულების ნაწილებში. პარტიულ სკოლაში მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

**მე-IV-ე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუტუნოვი.**

— ტფილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტის კომუნისტ. ფრაქციის ბიურო იწვევს სამშაბათს, 5 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში ფრაქციის საერთო კრებას. ვინც არ გამოცხადდება, პარტიული დისციპლინით მიიცემა პასუხისგებაში.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

### პროფესიონალური.

— შაბათს, 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე—ხრისტოლიუბოვის მოხსენება: „მასწავლებელთა მომზადება და ხელმეორე მომზადება".

— ხუთშაბათს, ივნისის 7, საღამოს 7 საათზე—მოხსენება კალანტაროვისა—დეფექტურ ბავშვებზე მუშაობის შესახებ.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

# განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 440—1—1

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის
მეორე სტუდიის წარმოდგენები
დღეს, 5 ივნისს,
მოსკ. სამხ. აკად. თეატრის მე-2 სტუდიის
პირველი წარმოდგენა.
ფ. სოლოგუბის
ყვავილების არშია
დადგმა ვ. ლუცკისა.

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილებას
ა. წ. 4 ივნისიდან
გადააქვს
თავისი სამმართველო კრუზენშტერნის ქ. № 4-დან
რუსთაველის პროსპექტზე № 27, ყოფილი „ევროპიული ნომრები".
435 5—3

საქ. საბჭოთა და პარტიულ პრესის ცენტრალურ
კანტორისაგან
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5—43.
დღეს გამოვიდა და იყიდება ახალი ყოველკვირეული
იუმორისტული ჟურნალი ქართულ ენაზე
„ნიანგი" № 1
ფასი 250.000 მან.
მოითხოვეთ ყველა მეგაზეთეებთან და რკინის გზის კიოსკებში როგორც თფილისში, ისე პროვინციაში.
2—2 ცენტრ. კონტორა.

ელექტრონთა
მომწესრიგებელი
სამმართველო
სთხოვს ყველა თავის აბონენტებს გამოუკლებლივ გაასწორონ ანგარიშები დახარჯული ელექტრონის ენერგიის წარსული დროისა და გადაიხადონ 10 ამა ივნისის თვემდე, რის შემდეგაც საფასური გადახდებათ წარმოებულ დღის ტარიფის მიხედვით.
ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველოს გამგე: აფანასიევი.
438 1—1

ს. ს. ს. რ. სოციალური დაზღვევის სამმართველო აცხადებს რესპუბლიკის დამზღვევ კასების საყურადღებოთ, რომ ამა წლის 10 ივნისს სოციალური დაზღვევის საკითხების მოწესრიგების მიზნით, მოწვეულია
ყველა
დამზღვევ კასების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა
თათბირი
დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:
1. რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველოს მოხსენება.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. ფონდი „გ" და „ბ" ცენტრალიზაცია.
4. დამზღვევი კასების რაიონებათ დაყოფა.
5. სამკურნალო-სამედიცინო დახმარება.
6. აგარაკებზე და დასასვენებელ სახლებზე.
7. მიმდინარე საკითხები.
ყველა დამზღვევი კასები აგზავნიან თითო წარმომადგენელს—გამგეობის თავმჯდომარეს. ის დამზღვევი კასა კი, სადაც თავმჯდომარე არ ღებულობს მონაწილეობას კასის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, აგზავნის დამატებით თავმჯდომარესთან ერთად კასის ყოველდღიურ მუშაობასთან დაკავშირებულ გამგეობის წევრს.
აღნიშნულ წარმომადგენლების დანიშნულ დროზე გამოცხადება სოციალურ დაზღვევის სამმართველოში აუცილებელია. (რუსთაველის პრ. № 19).
რესპუბ. სოც. დაზღვევის სამმართველო.
კრ. 441—1—1

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის
სამშენებლო კომისია
აცხადებს, რომ დანიშნულია შეჯიბრება ფიზიკო-თერაპევტიულ ინსტიტუტის და ფსიქიატრიული საავადმყოფოს შეკეთების სამუშაოს იჯარით გაცემაზე.
ხარჯთ-აღრიცხვის და პირობების გაცნობა შეიძლება ყოველდღე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში, (საპიროს ქუჩა № 30) სანიტარულ-ტეხნიკურ ქვე-განყოფილებაში დღის 10 დან—1 საათამდე.
სამუშაოს ადგილობრივად დათვალიერება შეიძლება ყოველდღე 9-დან—2 საათამდე.
განცხადების შეტანის ვადათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოსათვის ითვლება 10 ივნისი დღ. 12 საათი, ხოლო ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტისათვის 12 ივნისი.
განცხადება შეტანილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებში შემდეგი წარწერით „შეჯიბრებისათვის" „ივნისის"... გირაო შეტანილი უნდა იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სალაროში 500 მ. (ჩერვონცებით) რაოდენობით; იმ პირებს, რომლებიც არ აიღებენ სამუშაოს გირაო დაუბრუნდებათ.
საამშენებლო კომისია უფლებას იტოვებს გასცეს სამუშაო დაბალი ფასების მიმწოდებელთა განცხადების გარეშეც.
კრ. 752—2—2 სამკურნ. განყ. გამგე—ჯაფარიძე.

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების
მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი
ი. ფ. პალატნიკოვის
ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—13) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

# საქართ. სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის ს. შ. უ. ს.

# განცხადება

### 1923 წლის 2 ივნისისა.

ვინაიდან ყოფილი პატრონებისაგან მრავალი განცხადება შემოდის წინათ მათი კუთვნილი ნავთის შესანახების დენაციონალიზაციის შესახებ გამონაკლისის სახით, ან ნაციონალიზაციის შესახებ დადგენილების გადასინჯვის თხოვნით, ვითომდა ნაციონალიზაციის დროს ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტის დარღვევის გამო, ს. შ. უ. ს. პრეზიდიუმი ამით აქვეყნებს საყოველთაო ცნობათ ნაციონალიზაციით ქმნილი ნავთის შესანახების სრულ სიას და აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ სიის გადასინჯვა დენაციონალიზაციის მიზნით არავითარ შემთხვევაში დაშვებული არ იქნება.

ს. შ. უ. ს. თავმჯდომარე: [illegible]. საქმეთა მმართველი: ხვიჩონიშვილი.

## ნაციონალიზაცია ქმნილი ნავთის შესანახების ყოფილ პატრონების სია

| № № | რაიონი | ყოფილი მეპატრონეების ან ფირმების სახელწოდება |
|---|---|---|
| 1 | თბილისი | თბილისის ნავთის ამ-ბა „სვეტ" (სინათლე) |
| 2 | | აქციონერული საზ-ბა „პეტროლ" |
| 3 | | კონსტანტინე ზაალის ძე გალუსტოვი |
| 4 | | აქციონერული საზ-ბა „პეტროლ" |
| 5 | | აღმოსავლეთ-კავკასიის ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზ-ბა |
| 6 | | მიხეილ ნაზაროვი |
| 7 | | იოსებ ნაზაროვი |
| 8 | | არტემ ნაზაროვი |
| 9 | | ე. მანგასაროვი |
| 10 | | ყოფ. სახალხო გვარდია |
| 11 | | ჩიქოვანი |
| | **სამტრედიის რაიონი** | |
| 12 | ნატანები | ვ. გორგაძე |
| 13 | სუფსა | ჭანტურია |
| 14 | საჯავახო | ფ. ანჯაფარიძე |
| 15 | სამტრედია | ივანე ნიკიფორეს ძე კოპალეიშვილი |
| 16 | | გიორგი სიხარულიძე |
| 17 | | გ. ფოცხვერია |
| 18 | | გიორგი ჩიჩუა და ამ-ბა |
| 19 | ახალ-სენაკი | კ. ნაჭყებია |
| 20 | | ტ. ცანავა და ნ. შენგელია |
| 21 | | გოგებაშვილი |
| 22 | | ჯღარკავა |
| 23 | | სიჭინავა |
| 24 | ხონი | კობეშავიძე |
| 25 | ქვალონი | ვლადიმერ ქოჩაქიძე |
| | **ქუთაისის რაიონი** | |
| 26 | ქუთაისი | იგნატე ივანეს ძე ნარსია და ამ-ბა |
| 27 | | ძმ. ზარკაია |
| 28 | | თედორე ივანეს ძე არველაძე |
| 29 | | ძმ. ჯანელიძეები |
| 30 | | ნაზარიანცი და ამ-ბა |
| 31 | | თურქიას მემკვიდრეები |
| 32 | | მ. ნანეიშვილი და ამ-ბა |
| 33 | | ყოფ. ქუთაისის ქალ. თვითმართველობა |
| 34 | | ბარკაია, ჩინჩალეიშვილი და სხვ. |
| 35 | ტყვიბული | მოქ. კობიაძე, ვასილ ჯიშიაშვილი და სხვ. |
| 36 | | ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროები |
| 37 | ხარაგოული | ქუჩა ივანეს ძე დეკანოზიძე |
| 38 | | ნ. მესხიშვილი |
| 39 | ძირულა | ქარხ. „შრომა" |
| 40 | ყვირილა | ძ. სიხარულიძე და ს. მამალაძე |
| 41 | | ივანე ცერცვაძე |
| 42 | | ბიქტორ გაჩეჩილაძე |
| 43 | | ანტონ ციკაძე |
| 44 | | „ „ |
| 45 | სვირი | სამუელ ჯვალაძე და მ. ცქიპურიშვილი |
| 46 | ჭიათურა | ვლადიმერ კუპავა |
| 47 | | მიხ. გალუსტოვი და მიხ. ლომაძე |
| 48 | | გრ მ. ძიძიგური |
| 49 | | ძმ. ბესარიონ და პავლე ბაჟომია და |
| 50 | | გ. ჩომახიძე |
| 51 | საჩხერე | ჭიათურის ყოფ. ქალ. თვითმართველობა |
| 52 | | ელევტერი ვახტ. დგებუაძე |
| | | აბესალომ და კონსტ. ჩუბინიძე |
| | **გორის რაიონი** | |
| 53 | კასპი | პეტრე კონსტ. შენიძე |
| 54 | გრაკალი | როდიონ უზურგაშვილი |
| 55 | გორი | „ „ |
| 56 | | ალ. ჩიხლაძე |
| 57 | ქარელი | ნიკოლოზ კველიშვილი |
| 58 | | დავით დიდიშვილი |
| 59 | გომი | ა. გოკიელოვი |
| 60 | სურამი | მელხისიორ ლოტოევი |
| 61 | | სერგო ლოტოევი |
| 62 | ბორჯომი | ბორჯომის ქალაქის აღმასკომი |
| | **ახალციხის რაიონი** | |
| 63 | ბორჯომი | ახალციხის ყოფ. ქალ. თვითმართველობა |
| 64 | ახალციხე | ევგენი დიასამიძე და დიმიტრი კალთაჯევი |
| 65 | | ახალციხის ყოფ. ქალ. თვითმართველობა |
| | **სიღნაღის რაიონი** | |
| 66 | წნორის-წყალი | გიორგი სერგოს ძე კარალაშვილი |
| 67 | | ძმ. გუნცაძე |
| | **თელავის რაიონი** | |
| 68 | თელავი | თელავის ყოფ. ერობა |
| | **ბორჩალოს რაიონი** | |
| 69 | სანდარი | მურსაგულოვი |
| 70 | აშაგა-სერალი | მეგრაბოვი ა. ნ. |
| 71 | | „ „ |
| | **ფოთის რაიონი** | |
| 72 | ფოთი | საზ-ბა „ოქროს ვერძი" |
| 73 | | ოდიშარია და როგუა. |

439 1—1 საქმეთა მმართველი: ხვიჩონიშვილი.

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ.
სავადმყოფო სწარმოებს ექ. სიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 30. (501—25—17)

ვამზადებ მოწაფეებს
პირობით უმაღლეს სასწავლებელში—შეჯიბრებითი გამოცდებზე მათემატიკაში, მუშფაკულ. ტეხნიკუმში საერთო განათ. კურსებზე, სამხედრო ინსტიტუტში შესასვლელად. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. მიღება 9—4 და 5—7 ს. 756 1—1

ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სამოსამართლო
ამით აცხადებს, რომ 1922 წ. ივლისის 6 დღისა მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის სოფიო, იგივე სალომე სტრეკისის ასული პარსეგოვის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. თბილისის ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ 2 ენკენისთვეს 1915 წ. შეტანილი მის ნოტარ. მიტკევიჩის 1915 წ. აქტის წიგნის მეორე ნაწილში გვერდი 17 და 18 № 22.
754 1—1 სახალხო მოსამართლე: თეთრაშვილი.

დაიკარგა პირადობის მოწმობა ელექტრონის სადგურების სამმართველოს მიერ გაცემული და ელექტრონზე მომუშავეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 3458 ალექსანდრე კერნერის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 855 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ბაქოს სამხედრო საზღვაო კომისარიატის მიერ ტოროს ტოროსოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 757—1—1

[illegible]